ჩანაწერები ინგას უბნიდან

ბათუმი-2014 წელი

შემდგენელ- რედაქტორი ინგა გოგიბერიძე

წინასიტყვაობა- ხათუნა შავგულიძე

წიგნის ლოგო ეკუთვნის მხატვარ- დიზაინერს ნინა მეგრელიძეს

ჯგუფს-„ინგას უბანი“- სახელი შეარქვა ჩემმა თანაკლასელმა მერაბ ემირიძემ.

„ღამით, კონტინენტის ყველა კუთხიდან მოჩანდა განათებული, გაცისკროვნებული პატარა სული. იგი კუნძულზე ცხოვრობდა. მუსიკის ჰანგები იღვრებოდა სახლიდან, რომელიც უკაცრიელ კუნძულზე იდგა...ყველა ვარსკვლავი კუნძულს გადაეყლაპა და ისე აეშენებინა ეს სახლი...ამიტომაც ღამით, ყველა კუთხიდან მოჩანდა განათებული, გაცისკროვნებული პატარა სული.„

„სული„ ინგა გოგიბერიძე.

ქალბატონი, რომელსაც ეს სიტყვები ეკუთვნის, სოციალური ქსელის საშუალებით გავიცანი. საოცარია, ღმერთმანი, ადამიანს ფიზიკურად არ იცნობდე და ისეთი შეგრძნება გქონდეს თითქოს მთელი ცხოვრება იცნობ...თითქოს, მასთან ერთად ხელჩაკიდებული სწვევიხარ სოფლად ბებიასეულ სახლს, ან თვალდახუჭულს გადაგივლია შიშისმგვრელი საცალფეხო ხიდი, მასთან ერთად ბრუნდები დედისეულ სახლში, კარს აღებ იმ ძველი გასაღებით ერთი ლითონის რგოლი რომ ჰკიდია და მისმა ქალიშვილმა რომ გადასცა, რადგან, გაიზარდა და აღარ სჭირდებოდა... გესმის მისი საქსოვი ჩხირების ჩხაკუნი, რომლითაც „სიყვარულის შარფს„ ქსოვს და აკი, მოქსოვა კიდეც...და ის, აღარასოდეს დაიშლება, არც გახუნდება, რადგან წლების განმავლობაში „იქსოვებოდა„ დროთა ქარ-ცეცხლში იწრთობოდა...

მისი ნოველებისა და ჩანახატების კითხვისას საოცარი სითბო გეღვრება სულში. სითბო, რომელსაც სევდანარევი მოტივები გასდევს, მაგრამ ოპტიმიზმია მისი ამომავალი წერტილი და ის დვრიტა, რომელიც შეურყევლად ებჯინება მშობლიურ მიწას. მიწას, რომელიც ასე უყვარს და სტკივა ქალბატონ ინგას: „მე რომ მაესტროზე ერთი წუთი დამითმონ, მთელ ჩემს ქვეყანას ვეტყოდი როგორ მიყვარს და მტკივა მიწა, რომელზეც დავდივართ.„ მხოლოდ ეს ერთი ამოსუნთქვით დაწერილი წერილიც საკმარისია, რომ გარკვეული შთაბეჭდილება შეგექმნათ ამ საოცრად დიდბუნებოვან ქალბატონზე.

ქალბატონმა ინგამ წერა სულ ერთი წლის წინ დაიწყო. სწორედ მაშინ, როდესაც საფუძველი ჩაეყარა მისი „ვარსკვლავებით გაცისკროვნებული სახლის„ მშენებლობას, რომელიც „ყველა კონტინენტიდან მოჩანს და საოცარი მუსიკა იღვრება მისი კედლებიდან.„ ეს სახლი გახლავთ „ინგას უბანი.„ გვერდი, რომელიც ქალბატონმა ინგამ შექმნა ახალგაზრდა თუ უკვე ჩამოყალიბებულ პოეტთა და მწერალთათვის.

ვეცდები, რაც შეიძლება ლაკონურად გიამბოთ ამ გვერდის შესახებ, მაგრამ ამისათვის აუცილებელია სულ მცირე წარმოდგენა მაინც გქონდეთ ჩვენს შავ ზღვასავით ღრმა და ჩვენს ქართულ ცასავით უკიდეგანო სიყვარულისა და გულის მქონე ადამიანზე.

ქალბატონი ინგა, ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდული განყოფილების გამგე გახლავთ. უკეთესი კანდიდატურის მოძებნა ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეში, დღევანდელ დღეს, როცა წიგნის სიყვარულის დეფიციტია

მთელს მსოფლიოში, წარმოუდგენელია! „ვფიქრობ, რომ ბიბლიოთეკის საქმიანობა უნდა სცდებოდეს წიგნის მიღებისა და გაცემის სტატუსს. ამიტომაც ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ პატარებს შევაყვაროთ ბიბლიოთეკა, ვაქციოთ იგი კომფორტულ და საყვარელ ადგილად„- ამბობს ქალბატონი ინგა და მისი სიტყვა და საქმე ერთია! ეწყობა უამრავი შეხვედრები საბავშვო მწერლებთან, პოეტებთან, ახალგაზრდა შემოქმედებთან, საბავშვო კინოფილმების ჩვენებები. შთაბეჭდილებებით აღსავსე პატარები დიდი გულმოდგინებით ხატავენ მათთვის საყვარელ გმირებს, რომელთაც ბიბლიოთეკაში გაეცნენ და ამ გულწრფელ, ბავშვურ შემოქმედებას სახსოვრად უტოვებენ ბიბლიოთეკას. „გზა, მომავალი თაობების აღზრდა-განათლებისა ბიბლიოთეკაზე გადის„- სრულიად მართებულად ბრძანებს ქალბატონი ინგა. ვერაფერი შეედრება ბავშვის ცნობიერებაში სიკეთის გაღვივებაში ზღაპრების მნიშვნელობას და კლუბი „საზღაპრეთი„ შესანიშნავად ართმევს თავს ამ ფუნქციას. მათ მშვენიერი ინგლისურენოვანი ლიტერატურაც გააჩნიათ, რომელიც საჯარო ბიბლიოთეკის „ამერიკულმა კუთხემ„ საჩუქრად გადასცა „საზღაპრეთს.„ აქ, ინგლისური ენის მასწავლებლები აზიარებენ პატარებს უცხოურ ლიტერატურას.

აი, ასეთი სრული დატვირთვით იღწვის და იხარჯება ქალბატონი ინგა საქმისთვის, რომელიც ჩვენი მომავალი თაობის აღზრდა-განათლებას ემსახურება. ბარაქალა!

მაშ, „ინგას უბანიც„ სხვა არა არის-რა, თუ არა დაუშრეტელი წყურვილი ადამიანებზე ზრუნვისა. ახალგაზრდა შემოქმედთა ირგვლივ შემოკრებისა და მათთვის „სულიერი სავანის„ შექმნისა. და მოფრინავენ ფრთაშესხმული ლექსები, წერილები თუ ნოველები ამ მშვენიერების კუნძულისაკენ. აქ, წაუკითხავი არაფერი რჩება: „იცოდე, ჩემთან ყველა წერილი მოვა. ასეთ წერილებს მე ვინახავ ჯადოსნურ სკივრში...ერთადერთი რაც დროს გაუძლებს-ჩემი წერილებია.„ („უმისამართო წერილების სერიიდან„ ი. გოგიბერიძე). სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო იტყვიან და ქალბატონმა ინგამ სხვათა ნიჭიერების ძებნაში, საკუთარ თავშიც აღმოაჩინა საოცარი ნიჭი მხატვრული წერისა! მის სულში დაგროვილმა სათქმელმა ვულკანივით ამოხეთქა. მისივე სიტყვებით, სულს სიცარიელე სტკიოდა თურმე: „ტკიოდა, მაგრამ ცრემლის მაგივრად სისხლი ჩამოსდიოდა წვეთობით...ამ სისხლმა გამოაფხიზლა და დაინახა, რომ სისხლი წითელი კი არა, ვარდისფერი იყო, ამიტომ როდესაც პირველად დაეწვეთა უბის წიგნაკის ფურცლებს, მაშინვე გავარდისფრდა სამყარო.„ („სიცარიელე, რომელმაც გულში დაიდო ბინა„ ი. გოგიბერიძე). დღეს კი, ქალბატონ ინგას გული იმ მინდორსა ჰგავს, რომელიც სულ ბიბინებს: „მინდორი სულ უნდა ბიბინებდეს, იმიტომ, რომ ის სიყვარულის, სილამაზისა და გაზაფხულის მახარობელია. ამიტომ, არ გააქროთ გულებიდან აყვავებული და ჭრელ პეპლებიანი მინდვრები.„(„მინდორი„ ი. გოგიბერიძე).

არა, ქალბატონო ინგა,პირობას გაძლევთ, ჩვენს გულებში მუდამ შემოვინახავთ გაზაფხულის მინდვრებს და ამაში უდაოდ დიდ წვლილს შეიტანს თქვენი უბანი, ჩვენი უბანი-„ინგას უბანი„ სახლი, საიდანაც მუსიკის ბგერები იღვრება და ყველა კონტინენტიდან მოსჩანს! კალათა, სადაც ჩვენი „ვარსკვლავების შემგროვებელი„ ქალბატონი რუდუნებით აწყობს კაშკაშა ვარსკვლავებს. ჯადოსნური სკივრი, სადაც არცერთი წერილი წაუკითხავი არ რჩება!

მის მიერ შეგროვილ ვარსკვლავებზე კი, თავად „ვარსკვლავების შემგროვებელი„ ქალბატონი გიამბობთ.

ხათუნა შავგულიძე.

ჩანაწერი ინგას უბნის წიგნაკიდან:

ირგვლივ ყველაფერი იცვლება..... მგონი მეც... როდესაც მივხვდი, რომ ძალიან მომწყინდა ერთფეროვნება და ქართული სიტყვის მოფერება უსაშველოდ მომწყურდა სოციალურ გვერდზე ჯგუფი დავაარსე- ინგას უბანი. ამ უბანში პოეტები და მწერლები თავიანთ სათქმელს ამბობენ და იტყვიან კიდევაც..... ესეც ვერ ვიკმარე ... სოციალური გვერდის მეგობრები მინდოდა ყველა პირად მეგობრად გამეხადა... უფალმა მომცა საშუალება, რომ ჩემი ოცნება რეალობად მექცია. გულისფანცქალით წარმოგიდგენთ კრებულს,სადაც ინგას უბნიდან ათმა ავტორმა მოიყარა თავი, მოგიტანათ თავიანთი ფიქრები და ოცნებები, გაგიზირათ გულისნადები, თქვენი და საქართველოს დიდი სიყვარული. მე კი ყველანი ერთნაირად მიყვარს,ამიტომაც ჩემს დამოკიდებულებას როინ აბუსელიძის, დავით არახამიას, ჯაბა-ნიკოლოზ გორგილაძის, ხათუნა კვესელავას, შორენა გაბელაშვილის, მაყვალა დავლაძის,ირაკლი დეისაძის, ნინო ლაზიშვილის და აჩიკო ჯოჯიშვილის მიმართ წიგნში წაიკითხავთ...

სიყვარულით თქვენი ინგა გოგიბერიძე

1. დავით არახამია
2.აჩიკო ჯოჯიშვილი
3. ჯაბა-ნიკოლოზ გორგილაძე
4. შორენა გაბელაშვილი
5. მაყვალა დავლაძე
6. ირაკლი დეისაძე
7. ხათუნა კვესელავა
8. ნინო ლაზიშვილი
9. ინგა გოგიბერიძე

ჩანაწერი ინგას უბნის წიგნაკიდან:

დავით არახამია- დაიბადა 1963 წლის 26 მაისს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხში . სოფლის სკოლის დამთავრებისთანავე გაემგზავრა ქალაქ თბილისში უმაღლეს სასწავლებელში სასწავლებლად. დააამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ- ტექნოლოგის სპეციალობით. წლების განმავლობაში ჩართული იყო ეროვნულ- განმათავისუფლებელ მოძრაობაში . თოთხმეტი წლის ასაკიდან წერს ლექსებს. გამოსულია დავით არახამიას ლექსების ორი კრებული- „დილის დუმილი“ და „ჩამოკრა ზარმა“.ცხოვრობს თბილისში, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. ეს მცირე ავტობიოგრაფიული ცნობები ვერ შეგიქმნით წარმოდგენას იმ გრძნობებზე რაც წიგნით -„დილის დუმილი“ იჭრება ჩვენში. ამ ლექსებში სევდა, ტკივილი და სიყვარულზე ფიქრები ერთად გადაჯაჭვულან. სამშობლოს სიყვარული ხომ მშობლიური სოფლის სიყვარულიდან იწყება. ამიტომაცაა სოფელი კირცხი, რომ მზესავით ბრწინავს დათოს ლექსებში-„ ახლა შორსა ვარ,მაგრამ მგონია, თითქოს ხელს მიქნევს ძელქვა ლეტეშის, ახლად ამოსულ მზესავით ბრწყინავს , წარსულის ხიბლი ჩემს იმედებში?“. იმედი ნუ მოგიშალოთ ღმერთმა ბატონო დავით!

დილის დუმილი

თვალი ვერ უძლებს ფერების ლივლივს,
აისს ღრუბელი გაუწალდია...
დარდივით დნება დუმილი დილის
და უხიაგი წლები გადიან.

ეს გული ისე დასევდიანდა,
ვეღარ მაშფოთებს ვნების ძახილი;
ნათელს წყვდიადი ტანჯავს ნიადაგ,
ჟანგმა დაცხრილა ბასრი მახვილი.

არავინ უწყის ვის რა მოელის, –
როგორ იკვნესებს ჩემი ნაღარა.
არას შემარჩენს წუთისოფელი,
ვერ ეგუება გული ჭაღარას.

ვეღარ დავდივარ, მე ნება-ნება,
ვეღარ ვიშუშებ იარას ლექსით.
წავა დღეების თამამი წყება,
მომავლის კვარცლხბეკს გასანთლავს ღმერთი.

და უცაბედად

მახსოვს ვიყავი უმკაცრესი ამაყ ფიქრებთან,
ვერ გამაკვირვებს მითი და ჭორი გულდამგესლავი;
რადგანაც ჩანს, რომ აწმყო წარსულზე მკაცრი იქნება,
ვეღარ ვიქნები წრფელი გულით იღბლის მწყემსავი.

კვლავ ვაკაკუნებ კარებს ჩაკეტილს და ვერ გშორდები;
იმედები კი უიმედობამ უმალ შეცვალეს.
ვწრიალებ, ვბორგავ, ვერ გამიგია რას ველოდები,
რადგანაც ვხედავ, რომ ბედისწერას ვერ გავეცალე.

სივრცეს გავყურებ, მაგრამ სიკეთის არა ჩანს კვალი,
ალბათ გამწირავს მოლოდინი უეცარ რისხვის.
ღამის წყვდიადმა მომანათა ფერმკრთალი თვალი
და სხეულს ზაფრავს უნიათო დუღილი სისხლის.

არ დაძაბუნდეს

ამ გაზაფხულზე მოულოდნელად,
იხუვლა გულმა ვაზის ყლორტივით.
იდუმალ ძალამ დამმუხტა ხელად,
და განვიმსჭვალე უცხო მოტივით.

მიწის ყივილი იდუმლად მესმის,
შორი ვარსკვლავი ვერ მათბობს მხოლოდ:
ჩემი წინაპრის ვიგრძენი ფესვი
და სახვალიო ჯახირით ვცხოვრობ.

არ მინდა ვიყო კაცი ჯაბანი,
გულს უფლის ხილვის მადლი სწადია.
არ დაძაბუნდეს ჩემი ჭაპანი,
რომ შევერკინო დღეებს დარდიანს.

-3-

რომ მიმოვახლო

უცნაურ თრთოლვას ზმანებების მწვანე ფერებით,
რამდენი ღამე უმოწყალოდ გავათევინე.
სასწაულ ხილვით, იმ საოცარ მშვენიერების,
რამდენჯერ დარდსაც ბეყე თავი გავათელინე.

არ დამცდენია საყვედური და სამდურავი,

უდროოდ დაღლილს შემაშველე ხელი და თვალი;
როგორი სევდით ვბუტბუტებდი, რარიგ მწუხარი,
გზააბნეულს რომ მიმანიშნე სიკეთის კვალი.

ნუღა დამცინებთ ამნაირი ფიქრების გამო,
მალე მეც წავალ ამ ქვეყნიდან ვითარცა მდგმური.
უფალო ჩემო, მე დღეს შენთან საუბარს ვლამობ,
რომ მიმოვახლო შესაწირად მამულს ეს გული.

საკურთხეველთან

არავინ უწყის
ეს გზა სად მიდის;
გზას ვამბობ თორემ
სახრეა შინდის;
ცხოვრება თავზე
დამამხობს წისქვილს...
და ათინათებს
ჩაქოლავს ბინდი.
სურვილი დიდი,
განცდა მცირედი,
აღზევდა ფლიდი,
ჩაქრა იმედი;
საკურთხეველთან
ხოხვით მივედი.

-4-

შენი ვარამი

შენი ხმა უნდა შხეფად გამიჯდეს,
რომ გაიფურჩქონოს ვარდი ნაგვალვი.
გაწბილებული ლამის გავგიჟდე,
გულს დამიოსებს სნება ამგვარი.

ნუ შეეცდებით, ვერ დამიზავებთ,
ვერ მაცდუნებენ ეშმას ლანდები;
თუკიღა ისევ არ გამიკარებ,
წკვარამისაკენ მივექანები.

ნამქრით აივსო ყველა ხევ-ყურე,
შენი ვარამი, შენი კვნესამე;

ღმერთს მოწყალების თვალით შევყურებ,
მიმიღე სულის მონათესავედ.

როს ჩაგაწანი

შენი ზმანება ამ გულს აქეზებს,
სულს შეეზავა ფიჭვნარის ღელვა;
მთვარის ნათება დნება ბაგეზე,
ეუცნაურა სიყვარულს ელვა.

ზღვა უდიდესი ფიქრებით მავსებს,
თითქოს ყოველი ახლდება ამით;
გაყურსულია ზაფხულის ღამე
და გაინასკვა შეგრძნება წამის.

იმ წამის, როცა ერთად ვიყავით,
როს ჩაგაწანი გულში ვარდები,
აჰა, იღება ისევ ცისკარი,
აჰა, ახლდება მადა აღგზნების.

-5-

მამულს

იყო დრო, როცა ძაღლუმადურად
საერთო ბუხრის ალი გვათბობდა.
ცხადია, მაინც კრძალვით, ფარულად,
მამულის ტრფობა გულში სახლობდა.

წამოიმართა აპრილის სხივი,
გარდაისახა გრძნობის მაშხალად...
მარად ფასი აქვს მაშინდელ ტირილს,
ის შემართება კვლავ არ ჩამქრალა.

დე დამეკისროს

ის შენი მადლი რადგან ვიგრძენი,
მართალი გულის ზარმა დარეკა.

მარადიული სიცოცხლის გენით,
უსაზღვროებას მკერდში ჩავეკარ.

ვერტფი, სიცოცხლის სანუკვარ მაყარს,
სტრიქონებს შორის ვსახლდები თითქოს...
იმ განშორებას სიცივე ახლავს
და შენი ცეცხლით გათბობას ვითხოვ.

რა ვქნა, მივყვები აბურდულ ბურანს,
გულის ხვაშიადს მიწეწავს ქარი.
დე, დამეკისროს მე შენზე ზრუნვა
და გახდე ჩემი ნავსაყუდარი.

სუნთქვის მადლი

სისხლიდან და ხორციდან
სხეულს ჭუჭყი მოსცილდა.
გავიყოლე წადილი
უკარება მანდილის.
უბოროტო ტყუილი
თანხვედრია დუმილის.
ღვთიურ შიშად მტკიოდა,
ხელს არ ვწევდი იოლად.
სუნთქვის მადლი მომწონდა
სიჭაბუკის კოცონთან.
სასო ნულზე დავიდა
საკუთარი თავითა.

-6-

ტატნობის ზღურბლზე

უშინაარსო წლები მიჰქრიან,
მისხლობით ვზომავ გაფრენილ წამებს.
რამდენ რამეზე არ მიფიქრია,
არ მიფიქრია, რომ მოვწყდე ღამეს.

მესმის, ურიალი საკუთარ ნერვის,
თვალი მიჰყვება ფერების ლივლივს.
იმ შენს ხატებას ვერ ვანდობ ვერვის,
ზედ ჩაესარკა ქათქათი დილის.

არ ვიცი, სადმე იქნებ მელიან...
მიუსაფარი წლები გადიან.
უშენობა რომ ძალზე ძნელია,
დრომ მოდუნება არ მაპატია.

ამ გულს

ჯერ არ ჩამქრალა ბოლო მნათობი,
ფანჯრიდან შენი ლანდი მიცინის.
დღეს სურვილი მაქვს მარტო დათრობის,
შავი ზღვის პირზე ტყდება ცისპირი.

ოცნებამ ბევრი ზღვა გადაცურა,
საწუთროს მხარი ვეღარ ავუბი.
ნაპირზე ყველგან ჯერ არ გავსულვარ,
ჯერაც არ უთქვამთ ყველგან აუგი.

ჩვენ გაზაფხული გვეწვევა მალე
და წამი წამზე დამამახსოვრე;
ამ გულს ასევე შევუხსნი კარებს,
ერთი დიდი დღის ცხოვრებით მცხოვრებს.

-7-

მტერს გულში

ბურუსით მოცულ გზას რომ მილამპრავს,
ამ გაზაფხულის ღიმილს რა ვუყო?..
ვინ მომიშუშებს გახსნილ იარას,
გულს სიყვარულის ცრემლს ვინ გაუყოფს.

უსაზღვროების გაიხსნა კარი
და ვარსკვლავთ კრთომა მომძლავრებულა;
სივრცეს გავცქერი, გრგვინავს ცის ზარი,
ვეღარ ბობოქრობს ქარი შლეგურად.

მგონია შევძლებ სიტყვის თქმას ისე,
ამ მიწას მკერდი რომ დავუნამო.
მტერს გულში როცა ვუყრიდი ისრებს,
აღმოხდებოდა კვნესა მიდამოს.

სიხარულს

თითქოს ვბერდები დღეს ნაადრევად
გულუბრყვილობის გაცვდა საზღვარი,
ასე მგონია არ გაავდრდება,
ასე მგონია ცისკენ გავქანდი.

ვერ ჩავეჭიდე ვარსკვლავებს ხელით,
ყველა უცნაურ გზაზე წავიდა.
თავს რომ მახსენებს ცხოვრება ძველი,
საწუთროს ძებნას ვიწყებ თავიდან.

მინდა, რომ ვიყო ხალისიანად
და დავაპკურო ცრემლი იარებს.
ამ შემართებას, იცი, ქვია რა –
სიხარულს მაინც გაგიზიარებ.

-8-

მზის მოიმედე

გალუმპული ვარ და ლაფი მთითხნის,
სულით და ლექსით შენზე მლოცველი.
ვარ აღრენილი ყოველთვის თითქმის,
არ მინდობს ბეცი წუთისოფელი.

და ამ ცოდვების ორომტრიალში,
როგორღა ვთხოვო შენდობა ზენას;
გაუფასურდა სხივი იაზმის,
რწმენის ზეობის უფრორე მჯერა.

იმ უსაშველო ელჭექის შემდეგ,
სივრცესთან ერთად თითქოს ვმშვიდდები...
და მოღაჟღაჟე მზის მოიმედე,
შესციცინებენ ზეცას ჩიტები.

გულს ეფონება

ვეალერსები გაბადრულ ცისკარს,
მალიმალ შევთხოვ უფალს ვედრებას.
ზმანება წეწავს წუხანდელ სიზმარს,
აწმყო მაინც არ მეიმედება.

რადგან სიავის მძლავრობს სამხილი,
გულს შვებად ალბათ ისიც ეყოფა,–
ნამგალა მთვარე ცურავს დაღლილი,
გამკლავებია ღრუბელთ ხელყოფას.

ნაფერები მზის რომ მწვავს ალმური,
გავეზიარე ლექსით ალიონს.
გულს ეფონება ხმა სალამურის
და ბოლი ასდის ბუხრეკ ყალიონს.

-9-

როს შენი ლანდი

იმ წინათგრძნობის მრწამსი მაშინებს,
უშენოდ ყოფნის ქარტეხილია.
ვხედავ ჯურღმულის ხახას საშინელს,
ხოდაბუნებიც დამეწყრილია.

ნუთუ გაქრება ნანატრი ჟამი,
დაიკონკება წინსვლის სამოსი.
ისევ თამამად დამჩხავის ყვავი,
კვლავ მედიდურად მეფობს ქაოსი.

იმ მიუწვდომელ მწვერვალის ხიბლი,
სამყაროს ფერთა ციაგით ამკობს.
სიმწრის ზმანების ქარცეცხლით ვიწვი,
როს შენი ლანდი ამშვენებს ტატნობს.

ჩამოკრა ზარმა

ორმოცდაათჯერ ჩამოკრა ზარმა,
ორმოცდაათი იწვის სანთელი.
ბევრჯერ დამიდო ცხოვრებამ სარმა
და ნემსის ყუნწშიც ბევრჯერ გავძვერი.

კარს მომდგომია რადგან სიბერე,
ამაოების ურჩი მონა ვარ.
დასაჯერებელს ძნელად ვიჯერებ,
ვემსახურები შვილს და მომავალს.

ჯახირ-ჯახირში გადის დღეები,
ერთი მეორეს, არც ერთი არ გავს.
წუთისოფელმა შემასისხლხორცა
ყოველ ცისმარე რაღაცის კარგვას.

რაც გავიარე ძალზე მცირეა,
არ ვიცი კიდევ დამრჩა რამდენი.
უნდა ჩამოკრას ისევ ზარებმა,
უნდა აინთოს კიდევ სანთელი.

-10-

ჩემი გრძნობები

თვალსაწიერი იდუმალდება,
მრავლისმთქმელია ნათება მკრთალი.
მადლია, როცა ხსოვნაში რჩება,
ტკბილ-მწარე კოცნა მშვენიერ ქალის.

ყველაფერს, აბა როგორ გავშიფრავ,
როცა თვალებში თვლემის ნისლია;
მონატრებისგან თავს ვგრძნობ საშინლად,
შენი კვლავ ხილვა არ შემიძლია.

ჩემი გრძნობები ნისლში ბარბაცებს,
სუნთქვაშეკრული ციმციმებს ვნება...
თუმცა რიტმებმა სულ მთლად გამძარცვეს,
კვლავ სასიმღეროდ თავს მივეც ნება.

მზესავით ბრწყინავს

თუკი გინახავთ, ოდესმე ვინმეს
კოხტა, ლამაზი სოფელი კირცხი,
წარმოსახვაში ის მარად გიწვევთ,
როგორც ყოველთვის, ხელგაშლით გიცდით.

ახლა შორსა ვარ, მაგრამ მგონია,
თითქოს ხელს მიქნევს ძელქვა ლეტეშის.
ახლად ამოსულ მზესავით ბრწყინავს,
წარსულის ხიბლი ჩემს იმედებში.

როცა მალიმალ შრიალებს მდელო,
საოცარია უთუთის გორა;
რა დამავიწყებს, აბა იმ ასულს,
ერთხელ სიზმარში რომ მიამბორა.

თუკი გინახავთ, ოდესმე ვინმეს
კოხტა, ლამაზი სოფელი კირცხი,
მაშინ მიხვდებით, რომ მენატრება
და გულმხურვალედ ისიც რომ მიცდის.

(ლოგო) ჩანაწერი ინგას უბნის წიგნაკიდან- დათო არახამიას!

..... ზღვის სურნელებით დამათრობელ გარემოში,მზის სიყვარულით გაჯერებულ ბათუმ ქალაქში ჩამობრძანებას დაგილოცავთ ბატონო დავით.! მიმქრალ ზამთრის ნაფეხურებს,დღეს ჩვენს ლამაზ გარემოში,ინგას უბანში,თქვენი ალალმართალი პოეზია ეთაყვანება.თბილია აჭარის მიწა,აჭარელი ხალხი,თქვენი პოეზია ყოველი დღის ალიონზე ალამაზებს ჩვენს ვირტუალურ სამყაროს. ათბობს ჩვენს გულებს.ბედნიერი ვარ თქვენი ჩამობრძანებით და კიდე ერთხელ გილოცავთ ახალი კრებულის პრეზენტაციას. თქვენი პოეზია ცის კაბადონივით სუფთა და ნათელია.დიდი ტკივილის და იმპულსის მატარებელი.მომწონს თქვენი სევდიანი და თანაც ომახიანი მუზა....წარმავალ დროის დინებაზე,დუმილის ხიბლზე...მწუხრის ჟამზე. "იქნებ დავძლიოთ ამ განცდის შიშსო ხვალინდელი დღისა და დღევანდელი ქაოსისა.....მკითხველს მუხტავს თქვენი ლექსები. " ცრემლის მადლი გადმომაპკურეთ, სანთელი ფერფლად იქცევა ვიდრე."..... ან კიდევ " იქნებ დავძლიო იმ განცდის შიში როს მეუფლება ცისკრის ნახვამდე"... გისურვებთ ულამაზეს ცისკრის ამონათებას თქვენს ღირსეულ შემოქმედებაში.

დაგილოცავთ იმ რთულ და საპასუხისმგებლო გზას,რომელსაც პოეტის ცხოვრების გზა ჰქვია.... მაყვალა დავლაძე.

(ლოგო) ჩანაწერები ინგას უბნის წიგნაკიდან:

ყმაწვილკაცობისას ხშირად მიფიქრია, თუ საით მიემართებოდა ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ცხოვრების კარუსელი. ამ დროს უკვე ფეხს იკიდებდა ეროვნული მოძრაობა. სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სტიმული გახდა ჩემთვის მეფიქრა და მეაზროვნა ადამიანის სიმამაცესა და გამბედაობის აუცილებლობაზე.
განვითარებული მოვლენები გამოიხატა იმით, რომ მერაბ კოსტავამ და ზვიად გამსახურდიამ უდიდესი როლი შეასრულეს ქართველი ერის სულიერი და გონებრივი გამოღვიძების საქმეში. მასებმა აიტაცეს ის მცნებები, რასაც დამოუკიდებლობა და თავისუფლება ჰქვია.
დრო გადიოდა, მრავალ ჭირ-ვარამის მომსწრე ბედკრული სამშობლო აგრძელებდა ბრძოლას სანუკვარი მიზნების მისაღწევად, მაგრამ ჩამოკრა პატივმოყვარეობისა და გაუტანლობის ზარმა. ავიშალეთ, გაჩაღდა ძმათა ომი, გაიდევნა პირველი პრეზიდენტი, წაგვართვეს ტერიტორიები.
მრავალი წელია ვერ გამოვდივართ ამ მოჯადოებული წრიდან, მხოლოდ იმედი და მომავლის რწმენა დაგვრჩა ქართული გენის და ჯიშის გადასარჩენად. დავაბიჯებთ ცოდვილ მიწაზე დარდით, ცრემლით, სევდით გაპოხილ სამყაროში.
არავინ უწყის თუ რას გვიმზადებს საწუთრო; რომელი ბილიკით ვივლით და სად გავჩერდებით, უნდა გადმოგვხედოს უფალმა და გვიწინამძღვროს, რომ შევძლოთ უკეთესი მომავლის და ქვეყნის აშენება.
-12-

ყოველივე ამის გათავისებამ ეს პატარა ლექსი დამაწერინა.

ჩვენი სიცოცხლე წამიერია,
ო, ეს წამები, რა სწრაფად გადის.
ბევრი ვარამი დაგვიძლევია,
არ ვიცით, ბედი ვის რას გვიქადის.

კაცობრიობას არ მოეშლება
ოცნების სხივი და იმედები...
მამული გვიხმობს! სამშობლო გვრჩება,–
ღირსი ხატყოფის და გაღმერთების.

დათო არახამია

-13-----14----(ფოტოები-დათო არახამია)

(ლოგო) ჩანაწერები ინგას უბნის წიგნაკიდან: აჩიკო ჯოჯიშვილს

არჩილ ჯოჯიშვილი დაიბადა 1957 წელს ქალაქ კასპში. დაამთავრა კასპის მე-2 საშუალო სკოლა. სწავლის პერიოდში გატაცებული იყო ლიტერატურით, ხალხური პოეზიით. ბავშობიდანვე ეუფლებოდა ხალხურ საკრავზე დაკვრას. სკოლის დამთავრების შემდეგ მუსიკალურ-ტექნიკური სასწავლებელში გააგრძელა სწავლა. ათი წელი მუშაობდა ხალხურ ანსაბლში „ერისიონი“.

90-იანი წლებიდან კერძო ბიზნესს მიჰყო ხელი და წარმატებაც მოიპოვა ფართო მოხმარების საგნების წარმოებაში.

შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული პიროვნება ეძებდა სულიერ სამყაროს. ბავშობაში დაბადებულმა გრძნობამ ლექსის სიყვარულისა თავისი ასახვა ჰპოვა ავტორის თითოეულ ლექსში, ბწკარედში. შემოქმედი მხატვრულ ფერებში გადმოსცემს: ქალის სილამაზეს, მისდამი სიყვარულის განცდას, სამშობლოს ერთგულებას, დღევანდელ ყოფით სურათებს...

არჩილ ჯოჯიშვილის პოეზია არის „ლამაზი ლექსი“, კენჭებზე მორაკრაკე წყარო, „მთიდან სასიამოვნოდ მონაბერი ნიავი“, რომელსაც მკითხველი ინტერესით გაეცნობა-ასეთი ჩანაწერი გააკეთა მანანა ყაბანაშვილმა ინგას უბნის წიგნაკში.აჩიკო ჯოჯიშვილის ყველა ლექსი მღერის,ამიტომაც ჯერ იმ ლექსებს შემოგთავაზებთ, რომლებზეც სიმღერები შეიქმნა.

მარტის თვეში მარტი მარტად
 მარტით კი არ მარტობდა,
 უამრავი ქალბატონის
 სიყვარული ათბობდა.
ყვავილის და წვიმის წვეთის
 სითბო ერთად ათოვდა,
 მარტის თვეში ღვინის გარდა
თურმე ქალიც მათრობდა.
ამ თვეში ხომ უცაბედად
დარის მერე გათოვდა,
 უშენობა უჩემობას გულზე ცრემლად ათოვდა.
მარტის თვეში შენზე ფიქრი
 ლამაზ გრძნობად მათბობდა,
 ყვავილების სურნელება
გულს სიამით ათრობდა,
სიო შენგან მონაბერი,
 მოგონებებს ათბობდა,
ამ თვეში ხომ ურვამარტოდ
მარტიც კი არ მარტობდა. -15-
სიმღერა- ფერიცვალება
 სიმღერას ასრულებს გიორგი დათიაშვილი

 ნუ ატირდებით ნუ დაღვრით ცრემლებს,
მე ხომ ცრემლები არ მითხოვია,
 ძველ ოცნებებში თქვენთან ვარ მარად ,
 რა ვქნა ასეთი ბედი გვქონია.
 სიზმრად ლამაზად მოგიალერსებთ,
 ღამეს გავთელავთ ლამაზ ფერებით,
 გათენდება და მე ჩემი გზა მაქვს,
მაღლა ზეციდან მოგეფერებით.
მისამღერი: ყვავილებს დაკრავს სურნელი მიწის,
 სიომ დაბერა ფერისცვალების,
თქვენ მიგატოვეთ,
ზეცად მიგულეთ,
გაგიუკვდავდით გარდაცვალებით.
 სულ ტყუილია წლები კურნავენ,
წლები იარებს მარილს აყრიან,

იცოდე ძმაო რომ უშენობა ,
ყველაზე მეტად შენს ძმებს აკლიათ.
მისამღერი:
ყვავილებს დაკრავს სურნელი მიწის,
სიომ დაჰბერა ფერისცვალების,
თქვენ მიგატოვეთ,
ზეცად მიგულეთ,
გაგიუკვდავდით გარდაცვალებით.

სიმრერა -ვარდების წარღვნა
სიმღერას ასრულებს მანანა შალიკაშვილი

მოვალ ! ვარდების წარღვად
იას გაჩუქებ თოვლში ამოსულს
მარტთან ცრემლებში ჩამდნარს,
აპრილის თვეში,ალუბლის თოვით
გისრულებ ყველა ნატვრას.
ყვავილებს გრძნობით ვეტრფი და ვეტრფი,
გვირილის გულში გეძებ,
გულს რომ სურნელად შემომრჩენია
იმ ლამაზ სურნელს ვეძებ.
შემოუბერავს აპრილის სიო
გრძნობით აგზნებულ კვირტებს,
ვერ გაუძლებენ ატმის რტოები

ქარს გაატანენ ფიქრებს .
მისამღერი:
სიყვარულს გჩუქნი
აპრილის თვისას,
ნაზი სურნელით გამთბარს,
თუკი მინატრებ,
მე წარღვნად მოვალ,
მოვალ ვარდების წარღვნად.

სიმრერა-დაშაქრულან მზის ნაკოცნი ალუბლები

მუსიკის ავტორი სოფი რაფაელა

ასრულებს გოგონათა ანსამბლი „ქალდეა“

დაშაქრულან მზის ნაკოცნი ალუბლები,
შენი ტუჩის სითბოს ჩემთან მოყოლიან,
დამეფანტნენ,დამეკარგნენ,ოცნებები,
ჩემი გრძნობა ხომ უშენოდ ობოლია.
მზის სხივების წვიმად მოვალ დაგეღვრები
და ღიმილში ჩავეფლობი ლამაზ ტუჩებს,
დაშაქრული ალუბლებით ნატვრებს დავთვლი,
სულ ერთ ციცქნა ლამაზ ალერსს თუ მაჩუქებ.
ქარავნებით მომიზიდავს ზღვის ტალღები,
უღრუბლო ცას შენზე ფიქრი გაყოლია,
გულს გეფინე დაშაქრული ალუბლებით,
ჩემს ტუჩებს ხომ შენი სიტკბო აყოლიათ.
მისამღერი...

ნატვრის ხეზე მოგიკრიფე ალუბლები,
 სათითაოდ კუნწულებად მოგითვალე,
 თითო ღიმილს თითო კუნწულაში გიცვლი,
 მე გაკოცებ! შენ კი კუნწულები თვალე .

სიმღერა- სიყვარული ამეკიდა
 ასრულებენ ქსოვრელები მაცაცო თოხაძე და ელდარ შოშიტაიშვილი

 სიყვარული ამეკიდა ,
ამეკიდა ლოთივით,
 გულში ნატვრად ჩამღვრიხარ
და იმის მერე მოგტირი.
არაფერი აღარ მახსოვს,
 გარდა შენი ფერების,
 როცა ცხადში ვერ გნახულობ,
სიზმრად ხო გეფერები.
შემხვდები და თავს მევლები,
ცისარტყელის ფერებად,
 მიმატოვებ იღრუბლები,
 თვალს მეღვრები ცრემლებად.
მისამღერი.. ისევ ,ისევ,ისევ,გეძებ,
 ისევ მომნატრებიხარ ,
ისევ მეოცნებები და
 ჩემი გრძნობის ფერი ხარ,

ასი ქალის ნატვრით გივსებ,
ოცნებების ფიალას,
 სიყვარულს და ჩემს თავს გჩუქნი
 თავის გრძნობებიანად.
 ფიქრებს ვატან ნიავს და
 შენი ცრემლი მდენია,
შენი თვალების ფერი
ჩემი გრძნობის ფერია,
ეგ ღიმილი სანატრელი,
ჩემთვის ყველაფერია,
ჭკუას მირევს,
ცრემლებად მღვრის,
შენი სახე მწველია,
მაგიჟებენ ეგ ტუჩები
მწიფე ატმის ფერია,
 ვარდის ფურცლით შეგმოსავ
 დაგამსგავსებ ფერიას.

ამღერებული ტანგო

მუსიკის ავტორი სოფი რაფაელა

 ასრულებენ სოფი რაფაელა და გიორგი წიკლაური

გახსოვს პირველი ცეკვა,მაცდუნებელი ღამე,
ის თეთრი როიალი როგორ გვაკლავდა წამებს.
მახსოვს პერველი კოცნა,ცრემლში დამბალი გული,
სად გაქრა ჩვენი ვნება,სად გაქრა სიყვარული.
ღვინით არეულ გრძნობებს,მთვარე ფანჯრიდან ცლიდა,
 ამღერებული ლექსი ლამაზ ოცნებად მღვრიდა.
მეცეკვე ისევ ტანგო და სურნელებამ რითმის,
იქნებ დაგვითბოს გრძნობა,ბოლო წუთებს რომ ითვლის.
მოგონებები გვტირის,აბრუნებს უკან წამებს,
და ვიოლინოს კვნესა, უშენოდ ათბობს ღამეს.
მთვარე ფიქრებად მღვრის და განცდილი სურნელება,
იმ ლამაზ დროს მაგონებს რომ გაყოლია ვნებას.

მაკოცე ისევ ძლიერ,რომ აგვიჩქარდეს გული,
რომ ისევ გაგვიახლდეს, განვლილი სიყვარული,
მიღიმე ისევ ნაზად, გრძნობები ამიჩქარე,
მიგულე,მიგულე შენად,ცრემლებად დამეღვარე.
ლტოლვის ულევი ზღვა ხარ,ცრემლი გზად მიფენია,
სულ შენთვის მიჩუქნია, რაც ლექსი მიწერია,
ჩემო ცხოვრების რითმო,ჩემო გრძნობების ტანგო,
მეფერე ,მეფერე, ისევ და ნუ დამტოვებ მარტო.

ზღაპარი

მუსიკის ავტორი ნანა აღაპიშვილი

ასრულებს ელდარ შოშიტაიშვილი

ნეტავ იყო,თუ არ იყო,
ზღაპარი გამიცდენია,
კი არ ვცხოვრობდი, შენ მყავდი,
ჩემი პატარა ფერია.
თვით ყვავილების ქვეყანა,
ხომ შენი დანაფერია,
შენი თვალების ფერიც ხომ
მზის სხივის ჩანაფერია,
ღიმილი ორად გამიჭრავს,
ის ნახევარიც შენია,
შენთვის ლამაზი სიტყვები,
ცრემლებით დამიწერია,
მიყვარხარ,ძლიერ მიყვარხარ,

 გულის ფიცარზე მწერია,
ცის ქუხილამდე ვიყავი,
 ღმერთო,რა ბედნიერია
 ცა მოიქუფრა,მეწვიმა,
 ღრუბლები ღვარად მდენია,
 წამში გამიქრი, ჩამცრემლე,
სიზმარსაც ცრემლი სდენია.

ჩემი ამოსუნთქვა ხარ

მუსიკის ავტორი თემურ ცაგურია

 ასრულებს ელდარ შოშიტაიშვილი ქსოვრელების თანხლებით

შენთან ყოფნა გულს მიჩქარებს,
დაშორება გულს მიკლავს,
 გოგოვ ჩემო სიყვარულო,
მოფრენილო ღრუბლიდან,
 წვიმის წვეთი გულს მადნება,
შენს ცრემლს გამოყოლია,
გადაიღებს ,გამექცევი
 თავი ობლად მგონია
 გაივლი და მიღიმი,
გულს მედება ალები,
წახვალ დამეკარგები
და მეცრემლება თვალები.
ჩემი ამოსუნთქვა ხარ და

ოცნებების დინება,
ჩემი გულის ფრიალი
და გრძნობის გადმოდინება,
 სიზმრად გნახე გეფერები,
 მშვიდად დამძინებია,
გათენდა და გამექეცი,
გული ამტირებია
მომკლავს შენზე ფიქრი და
მომკლავს გულის ფრიალი,
 ჩემი ნატვრის ბუდე ხარ
გრძნობის ორომტრიალით.

ტირიფი

მუსიკის ავტორი თემურ ცაგურია

 ასრულებს თამაზ ჭეიშვილი
.....
და იქმნეს შვება ტირიფის ტოტთა,
მარტის ბოლო დღით დაქანცულებმა,
 შეასკდა კვირტებს აპრილის სიო,
და იწყეს მორცხვად დაქალწულება .
- მე აგიფეთქებ გაზაფხულს,
ჩამოვშლი თვეებს ფერებად,
მარტში იისფერ ცდუნებად,
სიგიჟე მოგეფერება.
 აპრილს დაგათოვ თეთრ ქალწულს,
კვირტებს დაგაღვრი ცრემლებად,
აწითლებული ვარდებით,
მაისი მოგეფერება. - -
მე გაზაფხულის სურნელი მათრობს,

გაშლილი ვარდის, კვირტის ფერება,
ალუბლის ტოტებს სიო გაათბობს,
მზე ჩემს მაგივრად მოგეფერება.
- მე აგიფეთქებ გაზაფხულს,
ჩამოვშლი თვეებს ფერებად,
მარტში იისფერ ცდუნებად,
სიგიჟე მოგეფერება.
აპრილს დაგათოვ თეთრ ქალწულს,
კვირტებს დაგაღვრი ცრემლებად,
აწითლებული ვარდებით, მაისი მოგეფერება.

ღიმილი ორად გამიჭრავს,

მუსიკის ავტორი ნანა აღაპიშვილი.

ნეტავ იყო,თუ არ იყო,
ზღაპარი გამიცდენია,
კი არ ცხოვრობდი, შენ მყავდი,
ჩემი პატარა ფერია,
თვით ყვავილების ქვეყანა,
ხომ შენი დანაფერია,
შენი თვალების ფერიც ხომ
მზის სხივის ჩანაფერია,
ღიმილი ორად გამიჭრავს,
ის ნახევარიც შენია,
შენთვის ლამაზი სიტყვები,
ცრემლებით დამიწერია,
მიყვარხარ,ძლიერ მიყვარხარ,
გულის ფიცარზე მწერია,

ცის ქუხილამდე ვიყავი,
ღმერთო,რა ბედნიერია,
 ცა მოიქუფრა,მეწვიმა,
ღრუბლები ღვარად მდენია,
წამში გამიქრი, ჩამცრემლე,
სიზმარსაც ცრემლი სდენია.

ალბათ იწვიმებს

ასრულებს გიორგი ბასილაშვილი

 ალბად იწვიმებს,იწვიმებს დღესაც,
 დაგავიწყდები,ვიცი გავა დრო,
 ლამაზ ოცნებებს ფიქრებში ვკეცავ,
ვინახავ გულში როგორც არასდროს,
აპრილის თვეში როცა გინატრე,
ჩამომეღვარე ალუბლის თოვად,
არ გაგაწბილებ,თუკი მინატრებ,
 ივლისში,თოვლის ფიფქებად მოვალ.
ოცნების აჩრდილს მოვყვები შენსკენ,
თითქოს გამშრალა ცრემლის ბილიკიც,
ვგრძნობ ვიკარგები,ვეშვები ქვესკნელს,
ბოლო ნახვაც ხარ,იქნებ ვინ იცის,
ბოლო სიმღერას იმღერებს გედი,

დამღვრის ცრემლებად თვით მაფშალიაც,
ანაცერიღა ვრჩენივარ ბედის,
 გრძნობა ჩამქრალი და გამშრალია,
ბედნიერს გტოვებ,გემშვიდობები,
 ჩაგღვრის ალერსში ალბად ეს ღამე,
 ვეღარ ვუშველი წუთებს გოდებით,
ან სად გავექცე მომაკვდავ წამებს,
 რაღას ვუშველით გულნატკენ მთვარეს,
 რით მოვიშუშოთ გულის იარა,
 რა პასუხს გავცემთ იმ ლამაზ ღამეს,
თვით სიყვარულთან რომ გვაზიარა.

უკრავს გიტარა ,ჰაიდნის ჰანგებს
.....

უკრავს გიტარა ,ჰაიდნის ჰანგებს,
 სიყვარულს უხსნის სიმებს სიმები,-23-
 ჰაერს ლამაზი ბგერები გასდევს,
 გრძნობის მანტიით შემოსილები.
სადღაც თავს იკლავს მოცარტი, ბახი,
 ჩამოეღვენთა ფორტეს პიანო,
იწვის დარბაზი და ბროლის თაღი,
ეოცნებება ფორტეპიანოს.
 ცეცხლის ენებმა ვნება არია,
კარმენის ცეკვამ დაღვარა სული,
უკრავს თვით ბიზე ლამაზ არიას,
 სიყვარულს ელტვის თვით სიყვარული.
იღვრება მეცხრე სიმფონია და
ჰანგებს ჩამომწყემსს ყრუ ბეთჰოვენი,
 დარბაზი მოქუხს და ტრავიატას,

შემოეწირა ბგერა ყოველი.
დაწყნარდა , ჩაცხრა ტაში მქუხარე,
ჩამოეღვენთა ჰანგებს სანთელი,
მაესტროებმა ქედი მოხარეს,
ცას გაეფინნენ სულნი ნათელნი.

მეცეკვე კარგო სამბა,
რითმში ჩავღვაროდ მთვარე,
ცეცხლმოკიდებულ ტანზე,
გრძნობებად დამეღვარე.

ჩემო ფიქრის საცავო,
ცდუნებავ მოელვარევ,
შენ ხომ რითმებთან ერთად,
სიცოცხლე მოგაბარე.

სამბას რითმებში მძინარს
ნუ გამაღვიძებ ღამევ,
სიყვარულს შევხვდეთ ერთად
მე შენ და სავსე მთვარე.

ფიქრებს მივყვები ცისკენ.
ზეცას მივწვდები ალბად,
ჩემო ცხოვრების რითმო,
ჩემო ცხოვრების სამბავ.

სამბა!
ო, სამბა, სამბა,

ცეცხლში ნადუღო ღამევ,
ჩვენ სამნი შევრჩით გრძნობას,
მე შენ და სავსე მთვარე.

-27-

გახსოვს, მიღიმოდი,
მზის სხივზე სათუთად,
გვირილის ფურცლებზე
გრძნობა გვირწევია,
ვარდთან მინაბერი
შენი სურნელება,
ნაზი მოგონების
სიოდ მირწევია.

ზამთარს შეყინვია
ჩვენი სიყვარული,
ცრემლმა მიერთგულა,
ფიქრმა მაპატია,
კვირტში ჩარჩენილმა ,
თუ ვერ გეაპრილე,
იქნებ მომიტევო,
იქნებ მაპატიო.

-28-

მე თაიგულად ენძელაც მყოფნის,
ცაში ამაფრენს პატარა იაც,
ისე მიყვარხარ რა გითხრა მეტი,
ლამაზი სიტყვაც გამომელია,
თაიგულისგან იას აგირჩევ,
და კოცნას ვატან ულევს ვნებიანს,
სხვის მილიონ ვარდს ისევ გერჩივნოს,
ჩემგან ნაბოძი პატარა ია,
მინდვრის ყვავილებს ვატან ოცნებებს,
თვით ენძელაც ხომ გრძნობის ღმერთია,
ჩემო ძვირფასო ვარდს როგორ გკადრებ ,
სანამ არსებობს პატარა ია .

მოვდევ გზადაგზა ,მინდორს ნამიანს,
ფიქრებს მისერავს მზის სხივი მწველი,
გეძებ და მსუსხავს , იისფერ მდელოს,
გადაფენილი სურნელი შენი.

მიუკარებას , თბილსა და სათუთს,
ამოქროლილი ნიავიც გჩემობს,

ამდენ უამრავ ლამაზ ყვავილში,
როგორ გიპოვო ძვირფასო ჩემო.

და როცა ქარი ღრუბლებს ანაფლეთს,
მთვარის ნამგალა ქიმზე ჩამოთლის,
ჩემს ფანჯარაზე შემონაბერი,
შენი სურნელი ცრემლად ჩამომცლის.

დამიღამდები და მიღამდები,
ლამაზ გრძნობების იისფერ თოვად,
ფიქრად, ოცნების კორიანტელად,
უშენოდ, ჩემთან რომელიც მოვა.

-29-

მე ჩაგღვრი ჩემში,
თუნდ ერთი წამით,
გულს აგითრთოლებ,
დაგტოვ მღელვარეს,
თვით ღმერთს შეგეხე,
ცის კიდედ მოგწვდი,
და მივხვდი
ჩემში როგორ ელვარებ,
უფაქიზესი შეხება სულთან,
დამშლის დამანგრევს,
ფიქრად ჩამომშლის,
შენი ღიმილის,
თუნდ ერთი პეშვი
სევდად ჩამოქნილს,
ცრემლად ჩამომშლის,
დავმთავრდი!
მოვრჩი!
ცრემლში შთავინთქი,
გვირაბის ბოლოს
ზეცას ვეწილე,
და შემოდგომის

სუსხიან ღამეს,
სულზე ზვარაკად
შემოგეწირე.

სად ითხრება ოცნებების სასაფლაო,
სად ხუნდება ცრემლნადენი გრძნობის ფერი,
რატომ გვწირავს უნებართოდ სიყვარული,
როდის ხდება შავით შეცვლა იისფერის.

როდის კვდება ოცნებები ცრემლთან ერთად,
სად იყრება ბილიკები სიყვარულის,
სად გვიქრება მონატრების დღეები და
სად მთავრდება ცრემლნარევი სიხარული.

გული არის ოცნებების თბილი უბე,
გულში იწვის სიყვარული ნაკვერჩხლებად,
ცოტა მყოფნის რომ გადვიქცე ცრემლის გუბედ,
ცოტა მყოფნის რომ ავფეთქდე ნაპერწკლებად.

-30-

გაზაფხულივით შემოგპარვივარ კარგო.,
აპრილის სიოს,იისფერ თოვად შევრჩი,
გულს დამეღვარე,მაისის წვიმად გნატრობ,
თეთრი ვარდების სურნელად მოვალ შენში.

მე ღიმილი ვარ,ოცნებას მოვყე ტალღად,
მე ხომ ცრემლიც ვარ,უმანკო შენი ცრემლი
შეგევედრები,არ გამყვე გულზე დაღად,
ფიქრიც გამათბობს,შენი ნაფიქრი მწველი.

და გავილევი გაზაფხულივით,ალბად,
გამომიფიტავს შენდამი ლტოლვას ქარი,
იცოდე,იყო ამ ქვეყნად გრძნობის ტალღა,
ლამაზ ღიმილზე შეყვარებული ქალი.

ყველა ყვავილს გასდევს თავის სურნელი,,
ყველა ქალს აქვს გრძნობა განუკურნელი,,

აღარ ვიცი რომელ ყვავილს გადარო,,
ყველა ქალის სურნელების სადარო.

იასამნის სურნელს გაღვრი ღიმილად,
თმებში გიწნავ თეთრ მზისგულა გვირილას,
ცრემლად დამღვრის ცისფერთვალა ია და
მე შენს მეტი სხვა ვინ მაბადია და

ვარდებს გჩუქნი ,კოკრებს გიფენ მთვარემდე,
გამიღიმე არასოდეს განელდე,
სიყვარულს ვგრძნობ, მაღვრი ულევ დინებად,
ეგ ღიმილი ჩემს გულს დაედინება

-31-

(ლოგო)ჩანაწერები ინგას უბნის წიგნაკიდან: აჩიკო ჯოჯიშვილს!

სიყვარულის ულამაზესი გრძნობის მოტრფიალე ...ზამთრის ცივ ღამეს,

რომ გაგითბობს გულს,მონატრების აპოგეაში შეგიტყუებს...და შენც მიყვები ამ ულამაზეს რითმების აკორდს...ასეთია ჩემი მეგობრის აჩიკო ჯოჯიშვილის ულამაზესი პოეზია.ვსაუბრობთ ხშირად...ყოველთვის იმედის მომცემი,და თავმდაბალი ადამიანი...საოცარი ხმის ტემბრით კითხულობს ლექსებს...ეს ულამაზესი განცდა მივიღე მაშინ,როცა აჩიკო ინგას უბანს ესტუმრა ბათუმში...ლამაზი დღეები დაგვიტოვე მეგობრებს,თბილი მოგონებებით.სულიერების ნავსაყუდელში სტუმრობს ხანდახან,ჩვენც მის მკითხველს გვამოგზაურებს გრძნობის მანტიით შემოსილ ბგერებში...სწორედ ამ ულამაზესი რითმებით ამღერდა აჩიკოს უამრავი ლექსი...

მე თაიგულად ენძელაც მყოფნის,
ცაში ამაფრენს პატარა იაც,
ისე მიყვარხარ რა გითხრა მეტი,
ლამაზი სიტყვაც გამომელია.

ასეთი ჰარმონიული გრძნობით უმღერის აჩიკო ჯოჯიშვილი ბუნების სიმშვენიერეს,ულამაზეს აისს..მინდვრის ყვავილებს...“თაიგულისგან იას აგირჩევ და კოცნას ვატან ულევს ვნებიანს“..

ყოველი დღე ჩვენს ვირტუალურ სამყაროში,სულში სითბოდ ჩაღვრილი პოეზიის შემოგებებით იწყება.სათუთად ვინახავ სიყვარულით გაჯერებულ კრებულს,რომელიც ბათუმში სტუმრობისას მისახსოვრე.

გაზაფხულივით შემოგპარვივარ კარგო.,
აპრილის სიოს,იისფერ თოვად შევრჩი,
გულს დამეღვარე,მაისის წვიმად გნატრობ,
თეთრი ვარდების სურნელად მოვალ შენში.-28-

მახარებ,მავსებ,მილამაზებ ყოველ დილას გაზაფხულის სურნელით...მინდა დაგილოცო გზა,რომელსაც მთელი შეგრძნებით მიუყვები,...თეთრი ვარდებითა და მაგნოლიებით ,იებით,გვირილებით...გილოცავ ახალი კრებულის გამოცემას...ბათუმური მონატრებით და მოფერებით ინგას უბნიდან. მაყვალა დავლაძე

(ლოგო)ჩანაწერები ინგას უბნის წიგნაკიდან: აჩიკო ჯოჯიშვილს!

რამდენჯერ მითქვამს თქვენთვის ჩემო მკითხველო,რომ საერთოდ ლექსი ჩემთვის ყველაფერია–ჩემი ლალი და მარგალიტი,შავი ზღვის ტალღები,ფერად–ფერადი კენჭები და ნიჟარები,ჩემი გულის სიხარულით ამვსები რითმა. მაშინ აჩიკო ჯოჯიშვილის ლექსები რაღაა ჩემთვის: წარმოიგინეთ,რომ წევხართ უნაპირო მდელოზე,თავზე ხელები გაქვთ შემოწყობილი და თქვენი ფიქრით ზეცისკენ იმზირებით. ფეხქვეშ მწვანე ბალახი გიგიათ ფიანდაზად და ირწევით,თითქოს ზღვის ტალღებს ,ბალახის სიმწვანეს და ზეცის სიმშვენიერეს ერთად მიჰყავხართ მზისკენ,საიდანაც ჯგუფ–ჯგუფად მოფრინავენ ნაირ–ნაირი პეპლები,სხვადასხვა ფერის ყვავილები,მომღერალი ფრინველები,ბულბულები.აგერ მერცხლების გუნდმაც გადაიფრინა და თბილი ქვეყნებისკენ გასწია.მინდა დავუძახო,ხმამაღლა შევძახო: ჩემო მერცხლებო,კუდმაკრატლებო– ნუ მიფრინავთ ასე შორს თბილ ქვეყნებისაკენ,იმიტომ რომ თქვენ რომ სითბოს და სიყვარულს ეძებთ აგერ არის აქ-აჩიკო ჯოჯიშვილის პოეზიაში. ინგა გოგიბერიძე.

(ფოტოები-აჩიკო ჯოჯიშვილი) 33-34

(ლოგო) ჩანაწერები ინგას უბის წიგნაკიდან-ჯაბა გორგილაძეს

ჯაბა - დაიბადა 1989 წლის 19 აპრილს ხულოს რაიონის ულამაზეს სოფელში სხალთა. ხულოს, ისტორიული ზემო აჭარა, სამ ხეობას აერთიანებს. ხეობებს შორის გეოგრაფიული მდებარეობით, კლიმატურ-რელიეფური პირობებით, ფლორა-ფაუნით, თავისის ისტორიით გამოირჩევა სხალთა-ხიხანი. სხალთა ულამაზესი სოფელია. იგი ხეობის ფერდობებზე დაბურულია მდიდარი ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყით. ეს ხეობა უხვია მდინარეებით. მაშინ რა გასაკვირია, რომ აქ, ასეთ სილამაზეში გაზრდილმა ყმაწვილმა კაცმა, გულით და სულით შეიყვარა მისი ღელე-ღურდანი, და არამარტო მისი დაბადების ადგილი, არამედ მთელი საქართველოს მიწა. გულიდან ამოსდის ჯაბას თითოეული სიტყვა, რომელიც ისარივით ერჭობა ჩემს გულს - ხან მჩხვლეტს და სისხლს მადენს, ხანაც კიდევ მესათუთება, უნდა რომ სისხლი არ მადინოს და ისე ვიკითხო ეს ლექსები დაფიქრებულ-დანაღვლიანებულ-გახარებულმა.

დიდ ქართველობას დაგილოცავ ჩემო ჯაბა. იმ ქართველობას, რომელ სიტყვასაც, შენ ყველა ლექსში ეფერები და ეერთგულები. ფიანდაზით ყოფილიყოს შენი გზა მოფენილი პოეტური პარნასისაკენ.

ინგა გოგიბერიძე

დედას!!!

დედა მაპატიე შვილი
ცოდვილი.....
ვერა!
შენს კალთაში,
მუხლი მოვიდრიკე.
მძლია სიამაყემ ავმა მოსაზრებამ,
თავი ამბიციის აზრთა ტრაგედია,
დედა!
ვერ გავიგე შენი გულის ცემა!
მგონი სიჯიუტე ძალზე თავხედია.
მინდა მოვიშორო ყალბი პაროდია
დედა!
მოგეფერო რათა გული მიცემს,
სული ეშმაკების ლუკმად მიმიგია.
და ეს აზროვნება გონებას ცემს,
ცოდვილს განსაცდელი ვეღარ გამიგია.
დედა!
იავნანა შენი გალობანი

ეხლა საზრდო არის სულის ნეტარება,
ნუგეში,ხელი-კალთა-ნაოჭები!
ყოველ ნახვას ის დრო მენატრება.
ტკბილი იავნანით როგორ მაძინებდი,
დედა!
მაპატიე ჩემი თავხედობა.
სიყვარულის ტკბილი ცრემლი,
ღამე თეთრი ფიქრი ყოველწამი,
სევდა უსასრურო ფიქრი,
დედა!
ისევ მინდა თავი დავამარცხო
ქუჩაში ვიხმაურო მტკიცედ.
ყველას გასაგონად თუ ვით მათთვის გიჟი!
ისე დავიძაღო!!!!
ისე დავიჭექო!!!!

-36-

დედა!
დედა!
დედა!
მე მეამაყება რო...
მე მეამაყება რო...
დედა!
მე მიჭირს...
მე მეშინია რო...
დედა!
მე გამიხარდა რო...
მე მესიამოვნა რო...
დედა!
რათა ყველა წუთში
ჩემში არსებობ და ჩემი გულის ცემა გესმის
დედა!
მაპატიე!
დედა!
მაპატიე!

უკვე ყველაფერი მესმის!

-37-

ჩემი ნენეს იავნანა,
შენი ბაბუს განდაგანა,
ნანი-ნანა ისევ ნანა,
ჩევიარე ყანა-ყანა!
შენს ბახჩაში გედევპარე....
შემომესმა ნენეს ნანა.
გოგოვ ყელში გენაცვალე,
რამხელაა შენი ყანა,
მგონი ზოვლი გედევღალე,
წამომყევი ცოლად ჩქარა!
შენს ყანაში გედევპარე,
შემეფეთა ფორცხვი ჩალა.
სიყვარულმა გამაბეჩა
და დავიწყე ლექსის წერა,
ციცავ ისე შემიყვარდი,
არ მომწყინდა შენზე ცქერა!
ნენეს ნანა იავნანა,
აჭარული განდაგანა,

ბებო ბორანს გამიკეთებს,
უკეთ ვირბენ ყანა-ყანა!

-38-

აჰა ინებეთ ხორცი ჩემი
ცოდვილთა კერძი,
დედამიწა ამოჩიჩქნეთ და
მოწყვიტეთ ღერძი!!!

აჰა გული დაინაწილეთ
ბოღმით სავსე,
სისხლი ნაპორით გადმომღვარეთ
ყანწები ავსეთ!!!

არ ველოდები განდიდებას
დამტოვეთ მარტო,
სტრიქონები იწერება და
სათქმელსაც ვდარდობ...

გონებაც შემიფერადეთ და
გადამაქციეთ...
მაფიქრებინეთ ბოროტება,
მონად მაქციეთ.

აჰა წაიღეთ მიჩუქნია
დამპალი ხორცი,
სული უფლისთვის მიმინდია,
სიტყვები ლოცვით!

მე მაინც უკან დაგიბრუნებთ,
სიყვარულს კოცნით
იქნებ იგემოთ ჩემი სითბო,
ზიზღით და ხოცვით!!!

აჰა წაიღე შეწყალება
ვერ გამამხეცე,
დაფლეთილს ვიყო მირჩევნია
ჩემსგან სიმხეცეს!

არ გამოუვა ბოროტებას
ჩემი მონობა,
რადგან მუზაა გონებაში
და მონდომება....
-39-
აჰა წაიღეთ ხორცი შმაგი,
ცოდვილთა მშიერს...
მე სულს ვიკვებავ შეწყალებით,
ვერ დამამშიეს..

რწმენა
მე ბათუმზე შეყვარებულს,აწმყოს შევეკამათე!
აფხაზეთზე სინანულში,მზე რომ უცებ ინათებს,
ზღვის ნაპირთან ოცნებებში გრძნობას შევალამაზებ.....
ნუთუ ისევ ჩემი შვილიც სოხუმის ზღვას ინატრებს?
აჭარული სიყვარულით,პოეტური სიმტკიცე,
არწივი ვარ,ნისლი თუნდაც თოვლის ფიფქად მწვერვალზე,
უიმედო აზროვნებით,ლექსით ხო დაგიმტკიცე!
საქართველო მაგარია მსოლიოში ყველაზე!
მე არ მინდა დავიჯერო ევრიის სისუსტე,
ეროვნული შემართებით,პატრიოტის სიბრაზე,
მე ქართველში დავაფასე ქართველული სიზუსტე,

თამარ მეფეს ვაჟკაცობა,ეშხიანი სინაზე,
ღვთისმშობელის წილმხვედობა,ანგელოზთა გალობა.
ისტორიით აღტაცებულს მედგრად შევდექ ხიხანზე,
არ მოგაკლოს ივერია!მაცხოვარის წყალობა...
აფხაზეთსაც დავიბრუნებთ ჩვენი მტრების ჯინაზე!
სამაჩაბლო აჭარისკენ ისევ გამოანათებს,
არ ვაპირებ გაჩუმებას,მორიდებას სინაზეს,
ივერია გაბწყინდება მჯერა ყველგან ინათებს,
ჩემი შვილიც არასოდეს ქართულ მიწას ინატრებს.....

-40-

მგონი ეშმაკს დავემონე,
უფალს ზურგი ვაქციე
უხეშობა ვაზიარე
მტრობად გადავაქციე,
ვერ გაუგე ვერავის,
ყველგან ცუდი რამ ვნახე,
ვითომ ვთესე სიკეთე,
თუმცა იქვე დავმარხე!
სიყვარულის მაძებარს,
სიძულვილი ვიპოვე,
გონებაში დაბნეულს,
გულში რა დავიტოვე.
მე ხომ ჩემი შეცდომა
სხვისგან გამოვიძიე
ჩემი გამართლებისთვის
შენსკენ წამოვიწიე.
თითქოს ვთესე სიკეთე
დაველოდე მოსავალს
ქცევით ვიამაყებდი

შევიქმნიდი მომავალს.
არა არა გავიგე
სული სიამაყეში,
ისე ფუჭად შევკაზმე
ქცევით სითამამეში...
ვერ ვხედავდი სიკეთეს,
ყველა მტრულად მივიღე,
ვებერთელა სამყარო
თვალ–წამწამთან მივიდე,
მშიერს არ დავეხმარე,
ცოდვილს არ ვაპატიე
მხატვარს ფუნჯი მოვპარე,
მადლი ვერ დავატიე,
ამ პატარა გულ–მკერდში
მხოლოდ ცოდვა ვაცხოვრე,
შენ რომ ხელს მიწოდებდი,
მადიდე და მაცხოვრე,

-41-

მე მტრად გადაგექეცი
უფრო მეტი მინდოდა,
შენ ღირსებას ძერწავდი,
მე უღირსი მიხმობდა.
მეყო უკვე ამდენი,
ბოროტება მონობა,
უფლის გვერდზე გადგომა,
სულის ცოდვა–ობლობა.
ფუფუნების სანაცვლოდ,
მომე ღმერთო მოთმენა,
ვიყო მორჩილებაში,
ვიუცხოვო მოლხენა,
ჩემი ქვეყნის ტკივილი,
ჩემს ტკივილად ვაქციო,
ბოროტება სიკეთედ,
ყველას გადავუქციო,
წვიმად მადლი დავღვარო,
ვქნა ქცევაში სიმდაბლე,

მოვიცილო ცოდვიანს
ლაჩრობა და სიხარბე,
ღმერთო მერამდენეჯერ,
ცოდვა გავაიგივო,
გთხოვო პატიება და
გულში მაინც ვიგინო.

-42-

–დაე უფალმა დაგვილოცოს,
სამშობლო მადლიანი,
–დაე არასოდეს მენახოს,
ქალი დარდიანი,
კაცი სევდიანი,
მამა ჯავრიანი,
დედა ნაღვლიანი,
შვილი ნაკლიანი,
–დაე უფალო მომე ძალა,
სიყვარული გავაჩუქო,
მტრობა ბოროტება,
სიკეთეს ჩავახუტო:
არ ვინანო,
არ ვიჯავრო,
არ ვიდარდო,
ვერ მივარდო,
ქალში ვნახო,
საქართველო!
ძველ მანდილებს,
მივამსგავსო,
ბაბუს სიტყვებს,

ვეფერ–ვენაცვალო,
მიწა ფულის ნაცვლად,
არ გადავცვალო....
ღმერთო დაილოცე,
სული ჩემი სატანისა,
იუდას მგონი,
უნდა დავემსგავსო,
მერე რთულია,
ესეთი ქართველის ატანისა,
–დაე დაილოცე,
პურად უპურონი,
სახლი, უსახლკაროს,
აცხე მადლ–მირონი,
–დაე საქართველო
ჩემი ნაცოდვალი,
ხორცი შესაწირად
ცოდვით ნაოფლარი,
ცეცხლში დამიწვია,
ვიდრე უმოქმედო,
ოფლი დამიღვრია!

-43-

იყო და არა იყო რა,
ლამაზი ულამაზესი,
მე როგორც გიჟი ნიკორა,
ზარმაცი უზარმაცესი,
ზუსტად იმ ქალმა შემცვალა,
მაქცია გრძნობის ვულკანი,
ფიქრებიც აღარ მაცალა,
მომცა ცხოვრების (მუღამი)
სულელი რა ლამაზია,
თიქოს ყვავილი გაზაფხულს.
ნეტავი რამ დამაბნია,
გულ ატირებულს გალახულს.
მოიცა აქ მოიხედე,
მინდა ვარდები გაჩუქო,
ცოტათი დამაიმედე,
ის სურნელება მაჩუქო,
რისთვისაც გიჟად ვიქცევი,
ან დავმუნჯდები მუდმივად,
სატანად გადავიქცევი,

ან ანგელოზად მუდმივად.
ტუჩების გემო ტკბილია,
ალერსი ვნების ამარა,
ოცნება მოპარულია,
გრძნობები შენში თამადა.
ჩუმად ჩუ ჩუ ჩუ,ჩუმად ჩუ,
მომასნენინე სუნთქვის ხმა,
ჩუმად ჩუ ჩუ ჩუ,ჩუმად ჩუ,
შემოვიხვიო შენი თმა,
ქალო,ანგელოზო,გოგონი.
სულის წამალო ცხოვრების.
იცი შენ მაკლიხარ მემგონი,
დასამშვიდებლად გონების.

ალუბლის სიტკბოებაში,
ვარსკვლავთა ვარსკვლავიანო,
სურვილთა სათნოებაში,
ცოტაოდენი ჭკვიანო,

ნუ დაიფასებ თავსაო,
ნუ გამიბრაზებ მზის სხივებს,
ნუ დაუჯერებ ავსაო,
ვინც მხოლოდ ვნებას გიპირებს,

ბაღში სამოთხის ბაღისა,
ლამაზში ულამაზესო,
დარდია დარდიანს დარდისა.....
მეც დარდიანი ვარსებობ.

-45-

მადლობა უფალს,
არსებობა ჩემი,
ყველანი უყვარს.
გაემგზავრა გემი.....

წაიღო ალბათ,
კულტურა ერის,
თან გაიყოლა,
ლოცვანი ბერის.

ნეტა სადარის,
დრონი და დრონი,
ის სილამაზე,
მე და ის ორნი,

წინაპართ ვნახე,
არსება მისი,
აწმყოს ვერ ვპოვე,
ღამეა დღისი.

ტკბილია ნანა,

ქართული ჟინი,
მაცხოვრის მადლი,
სიტკბო და ლხინი.

ილია,შოთა,
ვაჟა-ფშაველი,
სამშობლო ვტკბები,
შენი მნახველი.

ანდრიას ჯვარი,
ზემო აჭარა,
სხალთის ზარები,
სისხლთა ამარა,

ცხრანი მებრძოლი,
გმირების დედა,
კავკასიონი,
და ერთი სევდა.

გემი მიცურავს,
ნაპირებს ებრძვის,
ქართული ხმები,
მთიანეთს ეტრფვის,

თვალი დაეძებს,
სამშობლოს ჩვენში,
ადგილს ვერ პოვებს,
სიმწარე ლექსში.

და დაე მოვკვდე!!!
თუ ვერ ვიპოვე,
წინაპართ განძი...

მკვდარი მიპოვე.

არ მოისვენებს,
გული საგულედ,
გემი მიცურავს,
კარი დახურეთ,

ხმელეთზე მდგარი,
ტანჯვაში ლოთი,
მე საქართველო,
იარაღად ბოთლი

თმა აწეწილი,
ნაპირად მყოფი,
დაეძებს მზერა,
გონება მორცხვი....

-47

მე ვარ ბათუმი,
ქუჩები მტკივა,
რომ ფეხს მადგამენ,
მაშინაც მცივა,

მე ვარ ბათუმი,
შენა ხარ წვიმა,
ზღვის მეგობარი,
რისხვა და ყინვა,

მე ვარ ბათუმი,
წარსულის დრამა,
აწმყოში ვრცელი,
ზე-მელო-დრამა,

მე ვარ ბათუმი,
ნაცნობი სივრცე,
სადაც ტკივათ და
უყვართ მათ კიდეც....

მე ვარ ბათუმი,
დამადეს ლაქა,
ტყუილის ფონზე,
ახადეს ფარდა...

მე ვარ ბათუმი,
კაზინოს ხვედრი,
შემომეცალა
ქართველთა მხედრი,

მე ვარ ბათუმი,
პატარაც დიდიც,
სადაც ვაჭრობენ,
სხეულებს ყიდით,

გამომაცალეთ....!!!
გაანაწილეთ...!!!
ჩემი სხეული,
გაინაწილეთ...!!!
-48-
მე ვარ ბათუმი,
კარგიც და ცუდიც,
სადაც კაცური ,
მახურავს ქუდიც,

მე ვარ ბათუმი,
ცოდვა და მადლი,
სადაც დამადეს,
მეძავთა კვალი,

მე ვარ ბათუმი,
ნაპირი თქვენი,
დაუღალავი,
ლუკმა და ძღვენი,

მე ვარ ბათუმი,
დაჭრილი შველი,
გულში სლიქინებს,
სატანა გველი...

მე ვარ ბათუმი,
ფიქრი და ლოცვა,
ტკივილიც დარდიც,
ჩხუბიც და ხოცვა!!!

მე ვარ ბათუმი,
თურქი უზბეკი,
ქართული სულის,
ხელ-განუტეხი,

მიდით და მიდით,
გული მაინც ცემს,
მე ვარ ბათუმი,
ისევ შვილი მცემს.

მე ვარ ბათუმი,
ზიზღი და შური,
შიმშილის მოდა
მეფეა ფული.
-49-
მე ვარ ბათუმი,
ზურაბის მამა,
პოეზიაში...
გამათამამა!!!

მე ვარ ბათუმი,
ხალვაშის სისხლი,
ისევ დაჭრილი,
დონორი მისი...

მე ვარ ბათუმი,
მზიანი ლურჯი,
აჭარის სული,
მაინც ხომ ბურჯი!!!

--50-

რა ლამაზია ჩემი სოფელი,

სადაც ბუნება დავიმეგობრე,

დღეს სურნელებას შენსგან მოველი,

ირგვლივ სამოთხე გადამიღობე.

ეს ყვავილები შენთვის ხარობენ,

ისმის მდინარის ჩუმი ხმაური,

ბულბულები რო შენ გიგალობენ,

მაშინ შენა ხარ კაცი-კაცური!

ჰეი!!!! ყმაწვილო შენ ფეხ-შიშველი,

სად გამოხვედი ცვრიან ბალახზე,

მგონი მზის სხივი შენთვის ძლიერი,

ბუდე მოიწყო ყურძნის ლერწამზე,

რა ლამაზია ჩემი ზღაპარი,

გადაეჯვარა ისრად წამწამზე,

კარგად ყოფილა ჩვენი თამარი,

არწივად მდგარი მაღლად ხიხანზე,

მესაუბრება ჩუმად ჩიტუნა,

იგავ-არაკზე თავის ენაზე,

,და მეც ნერვებმა აღარ მიმტყუნა,

მე ქართველი ვარ სხვების ჯინაზეეე!!!

-51-

ნენეი ზღაპარს მიკითხავდა,
ბაბუი თუთუნს ახვევდა,
ფეჩი ძირას ფისო იწვა
კუდს კნავილით არწევდა,
გარეთ ფიფქი ქარის ფქვევით,
მთებს თეთრ კაბას აცმევდა,
დათვი ბოკვერს უღრან ტყეში,
მგლის ხორუმი
დასდევდა.
როგორ მახსოვს ამ ნათოვლზე,
სხალთის ლოცვის ზარები,
ნათათარი საუკუნის,
გზა- ნატანჯ-ნაკვალები.
გული ცემდა ნასიზმარი,
ყურში ბგერა მესმოდა,
ბებო-ბაბუს ნალოცავი,
უცხოდ რაფერ მესმოდა,
ისევ ჩემი ნაქართველი,
წინაპარი მებრძოდა,
გონებაში ბევრი აზრი,
მორიგებით მეფობდა.

დილით ადრე მეჩეთში,
ბაბუ მუდამ მიხმობდა,
მე ხომ ბაბუს შვილიშვილი,
ხალხი ესე მიცნობდა.
სხალთის ტაძარს მიმავალი,
ანგელოზი გალობდა,
მე მოლასთან ნაკამათი,
სული ტკივილს მონობდა.
რავქნა ბებო არ გეწყინოს,
გული იქეთ მიმიწევს,
სადაც ჩემი წინაპარი,
მიცემეს და მიწამეს,
ერი ამიწიოკეს და
სულში შური მიწამლეს.
რაფერ უნდა შევიყვარო,
მტერი მოყვრად ვაქციო,
სალოცავზე უარი ვთქვა და
ღვინო გადავაქციო.
ან მერე და თუნც უზრდელი,
საზოგადოდ მიწოდო,
გამარჯობა არ მითხრა და
-52

ხელი გამომიწოდო,
ნუ მიბრმავებ შემშიებულს,
გლეხს მიწაში ჩახოცილს,
ნენეის მისი მოხუცობა,
ჩემთან ტკბილი აცადე,
ის თუ რწმენით გამიბრუე,
ჯვრის ტარება მაცადე!!!
იქნებ ლოცვით შევინანო,
მისი გადაგვარება,
შენ მოყვარედ გამომიჩნდი,
ფული არ გენანება,
ამ უპურო საზოგადოს,
ისლამ-გადაგვარება!!!
ეყო მტრობა, ისტორიის
ისევ განმეორება,
თქვენი უცხო ფანატიზმი,
სულის გახელოვნება,
მე ბებიას ნალოცავი,
უცხო რწმენა მეყოფა,
დათუ ქრისტე ავირჩიე,
შენ რად მიწყე მეფობა!!!

ოხ რა დამაფეთე,
ანგელოზო ლამის,
ჯადო გამიკეთე,
უძილობა ღამის,
მარწყვის ნაზ-ლოყება,
სურვილო გულ-წამის,
ჩემო მოფერება,
მელოდია დრამის.
სულის საზრდოება,
ბაღ-ედემის, მთვარის,
რაფერ დაგეუფლო,
თუნდაც ერთხელ მაინც,
გხედავ მეტად უფრო,
თავს აღვიქვამ რაინდს,

ცივი-უკოცნელი
ბაგე დათოვლილი,
თმები ბწნილი,ბნელი,
სახე გადაღლილი,
სითბოდ მომევლინე,
როგორც მზის ამოსვლა,
მეცდა დაფეთილი,
მინდა შენთან მოსვლა,
რათა არსებობა,
იქნებ ერთხელ მაინც,
გულ-სულ გაციებულს,
ფიქრში შენთან მაინც!!!
სხეულს ვაზის მტევანს,
კარგად მოვირთველო,
რათა მოსაზამთრდა,
ჩემო საქართველო!

რად?რისთვის? და იქნებ რატო?
მე ქართველობას ვამაყობ,
ხო ტაში ჩვენ გვინდა ნატო....
ბოდიში თავზე არ ვამხობ....
შიმშილით კვდება ქართველნი,
ვზივართ სამშობლოს ვტრაბახობთ,
ძუძუს ნაწოვი ტუჩებით,
მოდაში არის თამბაქო....
პატრიოტული ბანაკი,
დისკო კლუბებად დაგვამხო,
ევროპა არის სამშობლო,
(GEORGIA)უნდა დავმარხო,
მშვიდობა უნდა ვასოფლო,
სისხლი ვენაში გავჭედო,
დარდი სხეულში ჩავიკლა,
იქნებ რომ აღარ (გავჭედო)
ეს არის ჩემი სამშობლო,
ყანწი საომრად ნაქცევი,
სტუმარს ყავის სმით გავბერავ...
ღვინო მაქვს გადასაქცევი.
მჯერა გონებას დავმუხტავთ,
ბოროტებისგან ჩამქვრალი,
ამლექს ვერაფერს დააკლებთ,
მე თუ მიპოვეთ გამქრალი.....
ჯაბა-ნიკოლოზ გორგილაძე

(ეს ლექსი დაიწერა ღამის სამ საათზე 28 აგვისტოს,მოკლემეტრაჟიანი ფილმი "ნამცეცები") ამ ფილმის ყურების შემდეგ, ემოციის ნიადაგზე..
(3 ფოტო)

-55-

ზაფხულს გამოვაცალე ღონი,

შემოდგომის სიო იპყრობს ფოთოლს,
სიზმარს გადავეყარე მგონი,
ზამთარია თითქოს უცებ მოთოვს,
აირია ბუნებაში მზერა,
სეზონური ძმათა ორთაბრძოლა,

ვერ მოვიწყენ არ ბეზდება ცქერა,
თუნდ შემეძლოს მოვეფერო ყველას,
მღებავი ვარ ,შევღებავდი თეთრად,
მხატვარი ვარ,დავხატავდი ფონად,
უფლის მგოსნად გადავაქცევ ყველას,
სიყვარულში ვაცხოვრებდი ყოვლად,!!!
მფლობელი ვარ,ჩემს ხელშია ყველა!
ვაცხოვრებდი სამოთხეში საძმოს,
არ ითხოვდა აღარავინ შველას,
ვარსკვლავივით ვამყოფებდი სატრფოს!
მოხუცობას ვუხალისებ ნენეს,
გავაშენებ სულ უეკლო ვარდებს,,
სანაპიროს გაუკეთებ ღელეს,
მის დინებას გავატანდი დარდებს,
მზის სხივებით ამოვქარგავ სიტყვას,

სამუდამოდ დავივიწყებ ვნებებს
, არ ვიტყოდი რაც არ უნდა ითქვას,
სიყვარულში დავთესავდი გრძნობებს.
რომ შემეძლოს შევცლი შენში ფიქრებს,
ვილოცებდი მუხლმოდრეკილს,ცოდვილს,
სულ სხვა აზრებს მივაბამდი რითმებს,
ამ ცხოვრებას შეგიქმნიდი ადვილს.
ძმობას ერთგულს დავთესავდი ნამდვილს,
სურნელებას დაუთმობდი ადგილს,
სიღარიბეს გადავაქცევ ფერფლად,
სინანულში ჩავაგდებდი ნადირს!
მთვარეს ვაქცევ შენი გზების ნათელს,
ბოროტებას ჩაუკეტავ კარებს,
სამოთხეში ვაცხოვრებდი წამებს,
ხალხს ამაყად გაუსწორებ თვალებს.

-56-

მე რო ვიყო შემოქმედი ლექსის,
სულ რითმაში ვაბანავებ სიტყვებს,
როცა შვილებს სიყვარულის ესმის,
მუზა კონად მომაწოდებს რითმებს.
მფლობელი ვარ მბრძანებელი ერის,
გავფანტავდი უიმედო ფიქრებს,
შევიგრძნობდი მწარე ტკივილს ბევრის,
ვაწვიმებდი (დოლალებში) ფიფქებს,
ავწონიდი ემოციას შენში,

სიყვარულით ვაცხოვრებდი მიზნებს,
დავთესავდი ერთგულებას ჩემში,
ქველმოქმედად გადავაქცევ ბიზნესს,
თუმცა არც ის მხატვარი ვარ კარგი,
არც მფლობელი,დამპყრობელი ერის,
სურვილია სიყვარულის დარდი,

სხვას რას შევძლებ,გამეგება ბევრის.....

ოდითგან წარსულს ხმა გავუწვდინე,
შევთხოვე, აწმყოს ჩემს ერთად ყოფნა.
არ გამიგონა დამტოვა მარტო,
დავუწყე წარსულს მომავლის ჯობნა.
ვიფიქრე ვნახავ უკეთეს რაინდს,
დაიბადება დავითზე კარგი,
გამთლიანდება ნიკოფსიიდან
ოდეს მოკვდება სამშობლოს დარდი.
არ იარსებებს მავანთა კვალი
გეი პარადის რეკლამირება
და ჩამიცხრება ქაოსი,ჯავრი.
ყოველ დილით რომ გამეღვიძება.
არ ვნახავ ქუჩის უცხო ნაკვალებს
არა ეროვნულ პატრიოტიზმებს.
მოხუცის ჩაგვრას ურწმუნოდ ყოფნას
არც უგულოებს დრო-ფანატიზმებს
დედის გინებას,! საკუთარ დედის,!
გაუცხოებულ ოჯახებს,
სახლ-კარს,
ფულის მონაში, ფულის შოვნაში,
ენა-დაგდებულ მეძავე
ავ-ქალს.
დრო გათენებას არა არ ითხოვს

ღამე ვაჩუქეთ წარსულის გმირებს.
ვერ გავიზარდეთ ქრისტიანს ქრისტედ.
მრუშობა ვშობეთ
ვუბოძეთ შვილებს.
ოდითგან წარსულს ხმა გავუწვდინე
ფიქრი მომავალს დაუკავშირე
არ დაიბადა არა დავითი!
გული აწმყოში ვტანჯე-ვატირე.
რუსთველს ვეძიე ვიკითხე ბევრჯერ,
პოეზიაში ვეძებე გმირი,
იქნებ განვმტკიცდე მე დავიჯერო
ისევ ეზრდება სამშობლოს შვილი.
ილიას სიტყვებს,
ტაბიძის ტკივილს,

ისევ ვეძიე ვით კრიტიკოსი,
ისე მეფიქრა გულით მტკენოდა,
და არა ფარსი თქმით ცინიკოსი.
ვაჟას– ბუნების მესაიდუმლეს
ბევრჯერ დაუსვი კითხვა
იგივე,
ესე ლამაზი სამშობლოს შვილმა
ერი მტრად როგორ გავაიგივე.
და ბოლოს მივხვდი და მაშინ მივხვდი
რად იყო აწმყო წარსულზე სუსტი,
შენ პოეზიას რწმენაში ქმნიდი
მე რწმენა მქონდა ურწმუნოს სუსტი.
ჯაბა-ნიკოლოზ გორგილაძე

არადა როგორ,
არადა რისთვის,
ლამაზი გოგო,
ნახატი დღისთვის,
ქალი არსება,
ლამაზი ბაგე,
იასამანი
დამიგო მახე,

ვაჩუქე ვარდი,
უეკლო ვარდი,
მაჩუქა დარდი,
გრძნობების დარდი.
ქალი სურნელი,
ქალში სურველი,
ქალის მანდილი,
ქალი ნამდვილი.
სველი ქუჩები,
დილაა ნამი,
მარწყვის ტუჩები,
ვიგრძენი წამით.
უბრალოდ ყოფნა ,
უბრალოდ მორჩა,

უბრალოდ მინდა,
უბრალო კოცნა.
სულში სულად,
ფიქრში ფიქრად.
სუნთქვა სრულად,
მესმის,მესმის,
გულის ცემა,
ლექსის,ლექსის,
მონაცემმა,
გულში რისხვა ,
გულში რითმმა,
გულში დარდმმა,
გულში ფაქტმმა,
ისევ ისევ,
ჩუმად ჩუმად
ისევ ისევ,
მუდამ მუდამ,
ჩამიცინა,
გამიღიმა,
დამაფიქრა,
ჩამაფიქრა.
ქალი ქალის,
კაცი კაცის,

გული გულად,
სულს ვერ გაცვლის.
შენში შენში,
სიყვარულმა,
შენმა,შენმა
სინანულმა.
თმები ბწნილი,
თვალი თაფლთა,
ისე ტკბილი,ისე ტკბილი,
მგონი გულში,მგონი გულში ჩამისახლდა.
-60-

სუნთქვა,სუნთქვა,
გულის ცემით,
შენს სხეულში,
სულში;სულში,
ქალავ რისხვა,
ამ რვეულში...
უკვე მშვიდად,
უკვე მორცხვედ,
კოცნით ითქვა.
დაიწერა,
აიღწერა,
ბგერა- ბგერა,
ჩამესმოდა,
შენი სიტყვა,
შენი რითმა,
მზის ყვავილო
ცისარტყელა,
უკვე ითქვა,
ხო ხო ითქვა,
გასაგონად,
მიხვდა ყველა!!
კოცნა-კოცნიდ,
დავატარებ,
სურნელებას,

რომ ატარებ!
მოიმორცხვე!
ნუ შეკრთდები!
იყვავილე,
ედემისა,
სამოთხისა,
ანგელოზო,
მადლი ღვთისა.
ქალავ ქალო!!
საქართველოს,
თამარ-ქალო,
დედოფალო
დედა,დაო,
მეგობარო!

-61-

ქალო კაცის,
ღვთაება ხარ,
მინდა მუხლი,
მოვიხარო!
ქალავ ქალო,
საქართველოს!
თამარ-ქალო
დედოფალო,
ჩემო დაო,
ჩემო დედა,
მეგობარო..
იარსებე,
იცოცხლე რომ,
მუდამ -მუდამ
კაცის გული,
დაიპყრო და
გაახარო...

ყვავილების დედოფალო,
თვალებს როგორ მიბნელებ?
ანათებ და მილამაზებ,
სუნთქვას რაფერ მიჩერებ!
ვით მამაცი მერომანე,
სიყვარული დავირქვი,
შენი ბაგე წავიგემე,
ქალი სულში აღვიქვი,
თმები ლერწმად მოფენილი,
თვალ-წამწამებს ახარებს,
ტანი, შველთა ნაბიჯები,
სინაზეში ატარებს,
გულის ცემა ააჩქარა,
ყოფნა გამითავისა,
ცხოვრებაში მიგდებული
სუნთქვა გამიხალისა,
ქალავ შენი არსებობა,
მე ხო მაგრად დამეტყო,
მე ლექსები დავწერე და
ემოცია არ მეყო....
მოველ იქნებ მოგეფერო
გული ამომეფლითა,
ვიფიქრე რო შენთან ვიყავ,
თურმე გამომეღვიძა,

გონებაში დაიმკვიდრე,
ფიქრი, ტანთა ხატება,
დრო მიჰქრის და ვერ გავიგე,
საკუთარ თავს რა ხდება?
ეხ რაფერ და რანაირად,
გული დაიმორჩილე,
სიამაყით შეპყრობილმა,
უცებ დამიმორჩილე,
ეხლა მივხვდი რა ყოფილა,
ამ ცხოვრების- ცხოვრება
ქალი ჩემი დედოფალი,
ქალი- ქალად ქონება....

-63-

მე ყვავილი მოგიკრიფე
მინდორ-ველი ვიარე,
გული ამოვირეცხე და
ისე გამოგიარე.
კოცნა ჩუმად შეგაპარე
სანამ ყვავილს მოგცემდი,
რათა ვიცი გაბრაზებით
ყვავილს უკან მომცემდი.
არა ესე რად ჯიუტობ,
რად ამყარებ ჰორიზონტს..
პირდაპირი ჰარმონიით
გიცხადებდი ბოი-ფრონტს!!
ბრძოლა ისე შემიყვარდა
შეგიტიე- შეტევით,
როცა კოცნა დავაპირე
შევწრფი გულის-შეტევით.
რა ყოფილა შენი გული
გერმანული არმია
ჰიტლელივით აგრესია
იმ გრძნობების შარმია.
თუმცა ბრძოლას არ დავნებდი,
დაგიპყარი დაგსაჯე
რათა ჩემო პაწაწინა
ესე გული დატანჯე.

ერთ დროს შენ ვერ მიტანდი
არ მიშვებდი საზღვრებში,
ეხლა შემოგიერთე და
სისხლი გვიძგერს ძარღვებში.
მტრობა მოყვრად ვაქციე
გულგრილობა სითბოთი,
სიცივეს რომ ავლენდი
მე სიტკბოთი გითბობდი,
ვერა ვერსად გამექეცი
ჩემი შვილის დედა ხარ,
ამდენი რომ მაწამე
მაინც ძაან მიყვარხარ!!!
-64-

21 საუკუნე.
არ არსებობს არსებობა
რეალობა სიმართლის,
ვინც ქაოსში ბინადრობს
ეშინია სინათლის.
ფუფუნების სანაცვლოდ
ივიწყებენ ღირსებას,
კუჭის დასაპურებლად
ბოროტებას გინებას.
ჯერ ყველაფრით ტკბებიან
თავს ანდობენ ცდუნებას,
ეს ხო კანონებია
ჩვენ ვერ შევცვლით ბუნებას.
აი ესე ვსაუბრობთ
ამაშია ლოგიკა,
აწმყოს არარაობით
მომავალი რომ გვინდა.
დედას შვილი არ უნდა
მამას დედის არ ესმის,
გაგიჟებულ სამყაროს
რაღაც ხმები ჩაესმის.
ტრადიცია მოდაში

ფანატიზმი რწმენაში,
ეშმაკებით მოცული
სიყვარული წყენაში,
უნდობლობა მწერალში
ციტირება წერაში,

ვერსად ვპოვე სინათლე
სულიერი ცხოვრება,
ყველგან როგორ ვინატვრე
სხვისი კარგი ქონება,

სხვისი კარგი გვაოცებს
ჩვენში ვიკლავთ სიკარგეს,
უცებ ვახდენთ საოცრებს
თუკი ვინმე გვიკარგებს,

მანამ ვერ მოვიფიქრებთ
იმ სიკეთის კეთებას,
სანამ მისგან ვერ ვპოვებთ
სასიკეთო ქმედებას.

მადლის ქმნისას მოველით
ქებასა და დიდებას,
დათუ ვერ შეგვამჩნიეს
უცებ ვიწყებთ გინებას,

მშიერს არ დავაპურებთ
მოყვასს მტრულად შევხედავთ,
ენას არ დავადუმებთ
ჭრელად სახლებს შევღებავთ,
ვაგებთ დაჩებს კაზინოს
წესად პროსტიტუცია,
სხვებმა რომ არ დაგვცინოს
ფაქტად კონსტიტუცია.
საუკუნის ფრაზები
მეტი თავისუფლება,
დემოკრატის ნიშნები
მაქვს ყველაფრის უფლება.
აღარც გვარი ჯიშიანს
გიწოდებენ აწმყოში,

ეხლა (ცვეტში)დონეა
ბევრი ფული საძმოში,
და ის ძმებიც გიძმობენ
ამ ქონების სანაცვლოდ,
შენ გგონია გიხმობენ
სიყვარულში სამახსროდ.
ასე უცებ გაივლის
ხანა არსებობისა,
თაობების ცვლილება
ფარსი მეგობრობისა.
მაინც ვერას იგემებს
დრო მკურნალი დროისა
სახლს სიკეთე იშენებს
მთვარე მავნე ღამისა.
-66-

ფეხზე წამოვდგეთ
2014 წლის 21 თებერვალი, 18:28-ზე
რა უნდა უყო ამ მარაზმს? ამ მარაზმის მოდგმას?
გაწბილებული ყოფნა არის, უყურო ბეგარ
დადებულ კაცებს. არც ვინ არვის უსწორებს დოგმატს,
უბრალოდ გული მღალატობს და ვმდუმარებ ვეღარ.

სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის, უყურო ბარაქ
გამოცლილ კაცებს, ძნელია და მიტაცებს დარდი,
სხვა პრეტენზია არც ჩემს თავთან, არც სხვასთან არ მაქ-
,,ფეხზე წამოვდგეთ!" მეტყვის ვინმე-,, მიღმეთში გადი,

არა ხარ რადგან, ამ ყოფის და არ ყოფნა გმართებს,
წიაღი მიწის სხვა არის და სხვა არის დგერა
ციური მარშის, აქ დევნიან წმინდებს და მართლებს,
აქ სიხარული არ არსებობს საშენო. ვერა,

ვერაფერს შეცვლი, ბატონია გონება, შეშლილ
არტახებს შორის მოქცეული და მოგკლავს ქვრივი
ცხოვრება. სულ სხვა დაფიონა ელვარებს შენში,
ამბოხი ხარ და აქ ეულის სტატუსით ივლი."

შეუცვლელობა მოტივია მიწის რყევნის! დაფდაფ
და ბუკის ხმაზე მოზეიმე , განწირულ მოდგმას,
მე ვეუბნები-,, პრეტენზია სხვაგვარი არ მაქ,
ფეხზე წამოვდგეთ." არც ვინ არვის უსწორებს დოგმატს.

უყვარდე პოეტს...
2014 წლის 7 იანვარი, 12:59-ზე
უყვარდე პოეტს იგივეა, უყვარდე სიკვდილს.
გიყვარდა? ხო და დაგავიწყებს უთუოდ იმ წლებს.
სადამდიც შეძლებს შენი სულის გვირაბებს ივლის,
რომ მიუწვდომელ ხასიათს და სიწმინდეს მისწვდეს.

უყვარდე პოეტს იგივეა, უყვარდე ტანჯვას.
არ გეგონოს, რომ სადღაც, დროის ნაგლეჯში მოყვეს.
მოუკვდე? ღმერთმა ნუ ქნას, უფრო აიტანს ჯვარცმას,
ვიდრე შენს სიკვდილს, ურჩევნია შენამდე მოკვდეს.

უყვარდე პოეტს იგივეა, უყვარდე სინდისს,
მთელი სამყაროს წინააღმდეგ წასვლა რომ ძალუძს,
რო ძალუძს მტკიცედ გადატანა სევდის და სიმწრის
და სიგიჟემდე მისვლა შენი გულისთვის. სხვა ნურც

ნურავინ გეტვის– შემიძლია მეც, როგორც პოეტს
მიყვარდე, თავი შემოგაკლა, მოგართმევ მზიან
ყვავილებს, მერე შეგიჩერებ ნასივრცარ დროებს...
არ დაიჯერო, სხვები სიტყვის წინაშე კრთიან.

უყვარხარ პოეტს, სიყვარულსაც უყვარხარ მაშინ.
პოეზიაში მისტიური წყვდიადი მეფობს.
იცოდე, სანამ ფრთებს უგულო პასუხით გაშლი
დაფიქრდი, იქნებ ჭკუა კიდევ ცოტახნით გეყოს.

ემბრიონისგან დედას
2012 წლის 16 აგვისტო, 12:38-ზე
ოცნებაში შემიჩერდა დედა წამი...
სანამ ხელი ვიღაც უცხოს დამჭრიდა,
ნუთუ ასე გატკინე და გაგაწამე?
რომ ქმედება ცხოველური დაგჭირდა.

ნუთუ უფრო ბედნიერობ დედა ახლა?
მე უბედურს, ცხოვრებისგან განდევნილს
ძლიერ მინდა იმ ალერსის ერთხელ ნახვა
სხვა შვილებს, რომ ნეტარებით აფენდი.

ამჩეხეს და სადღაც ბუნკერს მიმანაგვეს!
სულს ცრემლებად გვამის სისხლი სდიოდა,
მე ნაცემზე უფრო მეტად ნაცემ-ნაგვემს
ფერმიხდილი სიყვარული მტკიოდა.

არც ცრემლი და პროცესიაც შორს რომ იყოს
გულისტკივილს რად დააკელ მირონი?
ჩემს ანგელოზს უთხარი, თუ რაღა მიყოს,
გამდევნოს თუ შემომხვიოს ფილონი?

მომენატრე... მომენატრე სხვაზე ძლიერ.
მომენატრა შენი გულის ძგერება,
გევედრები მეორეჯელ შენს თავს ძლიე,
რომ და-ძმები არ მიკორტნონ ძერებმა.

თუ გოლგოთამდე მივედი

2012 წლის 22 ოქტომბერი, 11:58-ზე

ვიცი ოდესღაც, რომ გოლგოთა ჩემშიც იფეთქებს,
ჯვარს თუ მივიტან გოლგოთამდე, ეს აღარ ვიცი,
თუ დავეცემი, სული ჩემი ჩამოიფერფლებს,
იქ არ მიშველის არც მტკიცება, არც ღმერთის ფიცი.

ვიცი, ვიცი, რომ მტერი ჩუმად მოაპობს ტალღებს,
ქაფდება, შხუის და ფაქტებად დამცემს ვაებას.
თუ მოატყუებს გრძნობას, როგორც უცოდველ ბალღებს,
თავის მართლებას ვერ დავიწყებ და შედავებას.

გზა ეკლიანი ფეხშიშველმა უნდა ვირბინო,
გავკაფო უნდა ღვარძლი, გზაზე უხვად ნათესი,
სიკვდილო გინდა მე უკვდავი გადამიბირო,
იფქლის ნაშობი პური ვიყო, როგორც ნამცეცი...

თუ გოლგოთამდე დაძონძილი, მივედი სისხლით,
შევსძახებ გრძნობას:,,სიყვარული სიძულვილს მისცხე!"
ნათოში ყინვით და დამწვარი ქვესკნელის სიცხით,
მე დავეყრდნობი ჯვარს, რომელზეც გააკრეს ქრისტე.

მავილე
2013 წლის 14 იანვარი, 18:17-ზე
ასე ჩემო ბებრუხუნა,
ასე ჩემო მავილე,
დავჭკნი კაცი, მაპატიე,
მარად ვერ გიყვავილე.

გახსოვს? როგორ ვცახცახებდი,
შენ, რომ დაგინახავდი?
ერთხელ არაყი, რომ შევსვი
ჯერაც რახად ნახადი

და მოვედი სათხოვნელად
შენი ხელის, ალალი,
რომ მინდოდა საკოცნელად
ტუჩთან შენი დალალი.

თავი ისე შორს გეჭირა,
თითქოს მოგიპარავდი.
ნეტა ჩვენ დროს ყოფილიყო
ასე მოდის პარადი.

კალოშს ბოტასით შევცვლიდი,
ქონდა პაპას ტავარი.
შენ გენახა მერე ჩემი
ქუდი ამპარტავანი.

ახლა ხნე ვარ, თორე ქალებს
დავუხსნიდი არშიებს,
ეს სიბერე სუნთქვას, ქალის
სურნელს აღარ აშიებს.

დავჩანჩალებ საცოდავად
ახლა, ჩემო მავილე.

დავჭკნი კაცი, მაპატიე,
მარად ვერ გიყვავილე.

-71-

წინაპრის საფლავთან
2013 წლის 10 იანვარი, 22:43-ზე
ჩავრგე, მიწის სიღრმით ვფესვე რა კიჩირი,
ვხვდები წინაპარო, კმაა შენი სული.
ობლად გაზრდილი ვარ, ხოდა მას გიჩივი,
მიტომ ვიარები ასე შენისლული.

სიტყვა არ მყოფნის და ლუყი დავმუნჯაობ.
მთელი საქონელი ვახ რომ ჭირმა მოკლა.
მალე წავალ, იქნებ მიწა ვამუშავო,
გაიავდრიანა და თუ წვიმა მოყვა,

ცოტა მოსავალიც მოვა მადიანი...
აი საოცრება, ღმერთო მომკალი და
ჩვენი ეზო კია ძალზე მადლიანი,
გვალვის ნაჩრდილარით მაინც მოყვავილდა.

ეხ, დღეს კიდევ ერთი წავა მეზობელი,
უფრო ქალაქისკენ იწევს ეს თაობა.
ტურებს შემორჩებათ მალე ეს სოფელი,
შრომა არვის უნდა, ხო და ლოთაობა

უსაქმურობისგან ბიჭებს დაუწყია,
მითხრეს ერთი-ორჯერ: ,,წამო დავლიოთო"...
ვუთხარ: ,,რადროსია? კოხი დაუყრია,
ყანას მივალ, რომ იქ საქმით გავიოფლო".

ისე დაგვსეტყვა, რომ თითქმის ოთხი კვირა
წელში გაწყვეტილი ვენახს ვესარჩლები.
ახლა ამინდია, ზეცა მოთოკილა,
გაგეცინება და ცასაც ვევაჭრები.

წავალ, შენს საფლავთან კიდევ შევჩერდები,

ვირივით ვმუშაობ, არც რა მაქვს სამყოფი,
სიმინდს შევურჩიო უნდა ჯერ ჩელტები,
მერე მარხილი მაქვს ისევ ასაწყობი.

იქნებ გაისისთვის ხარი შევიძინო.
კარგა დრო გავიდა ტყვილა ლაყბობაში.
ნეტა შემეძლოს, რომ შენებრ დავიძინო,
ანდაც გადავქანდე წამით ბავშვობაში.

-72-

აჭარულად
2013 წლის 30 ივნისი, 20:46-ზე
აი, ჩემი დალალ-დაფერდილი
გოგო ეიხვეტე ქარებიდან.
ციცავ, ყველაფერზე რაფერ ტირი?
ფანჯრიდან წევდე, თუ კარებიდან?

ისე ეიჯაგრე, დაწერტილი,
ხორცი მივუდენე შაითანს და
მაიც კია კაი დაცენტრილი,
სანამ სიტყვას ეშხში შაიტანდა

ისე დააბრეხვა სისულელე
უკან მოუხედნად წამეველი.
მე, რომ ყვავილივით გისურნელე,
შენ რატომ გამოდექ მწამებელი?

აი, ჩემი დალალ-დაფერდილი
გოგო, რომ ამტვერდი ქარებიდან,
ჩემი გულისათვის რაფერ ტირი?
კაი, გევგე, წევალ კარებიდან.

წევალ და თან წევღებ მაგ შენ ალერსს,
ათას წყევლა-კრულვას მიცემული,
ციცავ, გრძნობა აღარ მაფერმკრთალებს,
თუმცა შენთვის კიდევ მიცემს გული,

გული, სალხინოდ, რომ შეგაკვდება
და, თუ მაინც ჩემთან არ წამოხვალ,
ბინდით შეიჭმება შემართება,
რომლის მზედასული საღამო ხარ.

მერე ბრაზიანი მოსვლით ბიჯის

მაგ შენ ყირმიზ ღაწვებს შევლოყდები,
პაწა იმედი მაქ, რაღა მიჭირს?
რადგან, ვხედავ ცოლად შენ მომყვები.

-73-

გაყიდულებს
2014 წლის 18 თებერვალი, 21:13-ზე
ოქრო–ვერცხლითა და ფურთხით აღგივსია, მამავ, სპონდი,
გადაბოროტებულ გრიგალს უტაცია შენი ანაფორა,
ღვთისას ვერ ქადაგებ, მაგრამ საქციელით მასვე გმობდე
უკვე სატირაა. ღმერთო სიყვარული მოგვაფარე,

თორემ ჩვენი სახლი, სადაც გვეგულები, დაგვიცარიელეს
თავის მსახურებმა, შენი სახელით, რომ ანტიმსახურობენ,
უკანასკნელივით, ვაგლახ, იქცევიან, მათი საქციელი
გაფუფუნებული მდგომარეობა და ყალბი მსახურია.

,,იდეალისტები სადღა არიანო?"– მავანთ დაიჩემეს,
სადღაც მართლდებიან კიდეც, მღვდელთმთავრობა რადგან კარიერად
ამათ გაიხადეს, სხვებზე ზრუნვის ნაცვლად თვისთვის აიშენეს
სასახლეები და მრავალს აბრკოლებენ. გაისარბიელა

ეშმამ გულები რა, მიმიფურთხებია მსგავსი დუმილისთვის,
აი, ეს დუმილი, უფრო ლაჩრობაა, ვიდრე წმინდა ოქრო,
რადგან ცნობილია მათი უმსგავსობა მთელი დუნიისთვის!
კაცო, რომ დამდგარხარ თვითონ უმსგავსო და სხვისას, რომ გმობ

თავი შეისწორე, იქნებ არ ხარ ღირსი მანდ რომ იდგე.
შეუგნებლობაა–არ განიკითხოო– შეძახება!
განა განკითხვაა? სიტყვით უმსგავსობას მოგარიდო?
შენ, თუ სამართალი გეცოტავება, ან ასე გეძრახება

მაშინ მიყუჩდი და სადმე უმკურნალე, ე, მაგ სიღატაკეს
სულის. სამწუხროა, გულის გამხეთქია ჩემთვის საქციელი
ასე მგმობი ღმერთის. ყველა იუდა და ყველა მოღალატე
ჭკუადამრიგებლობს, ხო და დემონური გვიდგას სარბიელი.

ოქრო–ვერცხლითა და ფურთხით აღგივსია, მამავ, სპონდი,
გადაბოროტებულ სივრცეს მოუცვია შენი ანაფორა,
ღვთისას არ ქადაგებ და თან საქციელით მისი მგმობი
ჭკუადამრიგებლობ. ღმერთო, ჩვენ, ცოდვილნი დაგვიფარე.

-74-

ბრძოლაა და...
2014 წლის 16 თებერვალი, 23:46-ზე
არ ღირს ახლა გზნების ტონს, რომ დავუწიო,
არ ღირს, რადგან ნელა მომხრავს განგაში,
სად მცალია? შვილს აკვანი დავურწიო,
ან ლუკმისთვის დღე დავკრგო ყანაში.

დავნებდე და დედას თვალი გავუსწორო?
როგორ ვუთხრა? რომ მიყვარს და ამის მერე
მსურს ამაგი ასჯერ მეტად ავუწონო,
არა ძმაო, სიყალბეა დამიჯერე.

მე მამისგან კაცის სტატუსს ვატარებ და
ომს ვაკვდები ფიზიკურს, თუ ზნეობრივს,
თუ კი გარეთ მოდერნიზმი ნეტარებდა,
შინ წრთვნა გვქონდა ტრადიციულ ძეობის.

მათგან ზრდილი ძაღლის გაზრდილს ვერ ვემსგავსვი,
ვიცი მკვდარი ვურჩევნივარ მაგგვარ ყალბს. და
კვლავ დაიწყო ჯოჯოხეთმა რენესანსი,
თუმც მანამდეც არანაკლებ ძლიერ ყარდა.

არა, არ ღირს გზნების ტონს, რომ დავუწიო,
არ ღირს, რადგან ნელა მომხრავს განგაში,
ბრძოლაა და შვილს აკვანი დავურწიო?
ან ლუკმისთვის დრო დავკარგო ყანაში?

დამჭირდები იცოდე
2012 წლის 27 მაისი, 2:45-ზე
ისე მეძვირფასები, ვით ნახატი გოიას,
ისე მეხალისები, ვით მოცარტის სონეტი,
ჩემი გულისცემა, როს ამ სამყაროს მოიარს
დამჭირდები იცოდე, როგორც ოქროს მონეტი.

ვერ ვიკანტე, ვიფიხტე, ამოვქოლე დარანი,
ვიფლირტავე იმედთან, დაისიცხა მუმია-
-როს გავცურე უდაბნო, ცეცხლიანი ფარანი,
მივხვდი სიკვდილს ვეწვიე,სუნთქვის მიწურულია.

ვიგოეთე მაშინ და ვაბირკავე ლოდები,
ვითაკილე სიცოცხლე, ვით ცვაიგის ამოკმა,
მინდა გითხრა უსიტყვოდ,ღმერთთან დაგელოდები,
დრომ თავისი მიყო და უსხეულოდ ჩამოკრა.

რა ძალიან მაგონებ მისტერიის აფექტს და
ანარქიის კარებთან გოთამივით მაკავე...
კაჟ-საღრტილი დენთში როს უცაბედად აფეთქდა
არ მოხვედი და ბაგე შუბლზე არ მომაკარე.

მე კი მეძვირფასები, ვით ნახატი გოიას,
ისევ მეხალისები, ვით მოცარტის სონეტი,
ჩემი გულისცემა, როს ამ სამყაროს მოიარს,
დამჭირდები იცოდე, როგორც ოქროს მონეტი.

ეგზეგეზა
2014 წლის 16 თებერვალი, 15:24-ზე
ერთი კომეტა და ქვესკნელს შენერწყვდები შენი მიწიანა,
ქაოსს უტაციხარ, გამასპინძლებული დროის ხარ სტუმარი,
ე, მაგ ქედმაღლობამ და მაგ სიამაყემ გაგაბიწიანა,
გმობის ფერწერაა შენი უსახური ფიქრის სასთუმალი.

დროს რად აყოლილხარ? დრო მებადურია, ბრიყვთა მესალიკე,
ყველა ლაჩარის და დაუღვინებელის ტკბობა. აზარმაცი
უნდა გადაგარტყას კაცმა სიბრიყვისთვის. როცა შენსავითვე
მიწაც დაიჩოქებს, მაშინ მიხვდები, თუ რა ხმა აზარბაზნე,

თუ რა სიმდაბლეა იწვე გართხმული და მხოლოდ აბრამიან
სიტკბოს შეზარხოშდე. ე, მაგ სითამამემ გაგაბიწიანა.
აი, ეს სამყარო, ღმერთის სიყვარულის წმინდა ნაგრამია.
ერთი კომეტა და ქვესკნელს შენერწყვდები შენი მიწიანა.

-77-

ცერა წვიმასავით

2013 წლის 8 აგვისტო, 23:04-ზე

მახსოვს, გაზაფხულზე, ცერა წვიმასავით, როგორ დამასოვლდი,
როგორ გიხდებოდა, მაშინ ღიმილიან სახის აკვირტება,
შენზე მიყვებოდი, რაღაც საოცარი ტონით ბაასობდი,
მეუბნებოდი, რომ მზეც კი შურიანი თვალით გაკვირდება

და ეს გაბრაზებდა. ტუჩგაბუსხული და თვალებ ნაცრემლები,
უცხო სევდისაგან გალამაზებული ჩემს წინ იჯექი და
ხვატში, ღრუბლნაგრილი ცერა წვიმასავით, უხვად მასველებდი,
ჩემმა სიმახინჯემ შენსა და ჩემს შორის ვერც კი იჯებირა,

რადგან სიყვარულმა თვალხედვითი მზერის იცის დავიწყება.
მერე ამიორთქლდი, ხსოვნამ შემოიცვა მძიმე განსაცდელი.
ახლაც ზეცას ვრანდავ, თუ წვიმის ჩამოღვრა როდის დაიწყება,
რომ კვლავ დამასველდე ცერა წვიმასავით, როგორც დამასველდი.

მელანქოლია

2013 წლის 27 ნოემბერი, 5:58-ზე

ახლა ვხვდები, რომ ადრე ყალბი ჩვევა მქონია,
უშნოდ ნაფერ დღეებსაც ხვალისაგან ვმიჯნავდი,
ასე, დაუსრულებლად, მჭამდა მელანქოლია,
და მწყინს ჩემო, უაზრო, ბრაზით, რომ გაგიჯავრდი.

ახლა ვხვდები, ნამეტარ სისულელეს ვროშავდი,
სიტყვას ვწვავდი, თუმცაღა გრძნობა ჩვილად მყოლია,
ვწუხვარ, ზიზღით აღსავსე ბუნებით, რომ მოვშავდი,
დამიჯერე, უშენოდ, მღეჭავს მელანქოლია.

აღარ მინდა სცენა და ჩამოუშვით ფარდები,
მსახიობი გულგრილი ლეშზე მეტი მძორია,
მაპატიე ყოველი, მოვდივარ და გბარდები,
სანამ ბოლოს მომიღებს მწუხრით მელანქოლია.

ხარაკირი

2014 წლის 19 იანვარი, 6:17-ზე

მოვიკლა თავი, სუიციდი კლავს მისტერიას...
ბავშვობა მინდა, არ განცდილი დრამად-ის წუთი,
ჩემი ზმანება საიქიო, ღრმა ცის ტევრია,
აქ მბოჭავს დრო და შინაგანი გლოვით მივმწუხრდი.

ადვილია და ყველა შეძლებს ჭირში ხარაკირს.
ლხინი ისეთი სიშორეა, როგორც სივრცე და
ნანგრევებს ვეძებ თავშესაფრად. შოვნად აღარ ღირს
ბედნიერება, ანდაც მასზე ხარბი მიცვენა

რა ბედენაა? განა რაა მასში სიუხვე?
სიხარულია დაუსრულო აწმყო-არ გავა...
ჯობია სიკვდილს მოსასვლელი მხარე მივუხვდე,
თორემ ცხოვრება უმისობამ მიანაგავა.

ვახ, რომ მძიმეა, ვერ ხვდებიან ჩემსას. ახლა კი
აზრის ნამცეცებს ვეზიდები სულის საძღომად,
ღმერთი ვიცი, რომ არ გამწირავს ნაღდად ხარაკირ
შეუსრულებელს და თუ მკვდრეთით მელის აღდგომა,

დაე ცხოვრებას გამოვფატრავ გამომძღარ სტომაქს!
სისხლისგან დაცლილს მაინც გულით მიჭირავს ხელში
მე უკვდავება, ზვარაკივით, ნატანჯი მომაქვს
ოღრო-ჩოღროზე, რომ სადგომი ვიპოვო ღმერთში.

ჩემს პოეზიას...

2014 წლის 22 იანვარი, 15:43-ზე

პოეზიაში რთული ვარ და ვერ მივსდევ მარტივს,
და ეს სირთულე შემბრკოლები ვინმეს თუ კია
პირადად ჩემთვის, ჩემი ლექსი კაპიკიც არ ღირს,
არ ვწერ სახოტბოდ რადგანაც და არ მსურს დუქია.

დასაკარგავი არც რა მაქვს და შემძლები სიტყვის
ქარცეცხლში ვაქცევ უზნეოს და ყოველგვარ მრუდეს,
ვიღაც სულელი ერს და ბერს და ცხოვრებას მირყვნის,
ჩემს პოეზიას კი მხილება საფუძვლად უდევს.

ჩემთვის პოეტი სიბასრეა, არეულ ყოფის
სანათურია, თუ კი ირგვლივ ფერი მუქია,
არ ვერიდები ამხედრებით მოქნევას ჯოხის,
არ ვწერ სახოტბოდ რადგანაც და არ მსურს დუქია.

დედას

2013 წლის 11 აპრილი, 1:51-ზე

დედა ჩვენს შორის უფსკრულია უშნო ეპოქა,
მე გვერდს მიმშვენებს სიამაყე–მკვლელი ამგალი,
ხო და სიშორეს ეს მიზეზი ნაღმად ეყოფა,
მე კი არ მინდა საცხოვრისი სახლი ამგვარი.

რადგან ამ სახლში შემურული კედელ–ჭერია...
მივიღე გუშინ მოწერილი შენგან ეტრატი,
რომ სათნოებას შენი არსი დაუჭერია,
მე კიდე, დედა, მაგგვარ ყოფილს ხარბად შეგნატრი.

მღლის ეს ცხოვრება ათას გვამს და ნათქვამს ნაბაძევს,
მღლის და სურვილი უცხო მიზნის სიმხნემ დაგეშა,
მინდა გაქცევა, მაგრამ გული ნებას არ მაძლევს,
გული, რომელმაც გრძნობის სხვა მნე აათარეშა.

და ახლა გვემა სასყიდელის სრულია ლეპტა,
შევღონდი, რადგან სირცხვილია ჩემი ამგალი,
მინდა გაქცევა... დასასრულის დღე იყოს ნეტა,
არ მინდა დედა, საცხოვრისი სახლი ამგვარი.

მე...სამყარო...უშენოდ...

2012 წლის 13 ოქტომბერი, 16:39-ზე

მე შევეზარდე შენი ცრემლით ნაწამებ წამწამს,
დავწვი ტკივილი-უსხეულო სულის რაობა.
ჩემო, უშენოდ ეს სამყარო საერთოდ არ მწამს,
უშენოდ ისიც წამია და არარაობა.

ზედ დავეშენე მოგონების იჭვეულ კედლებს,
ეჭვებს, რომელშიც ვასულდგმულე ჩემი შეცდომა,
იცი? უშენოდ ეს სამყარო წუთითაც ვერ ძლებს,
მასაც ჩემსავით უნდა შენი ხედვის შეცნობა.

გადაეკარვნნენ ნოსტალგიის სხივები აწმყოს,
(წარსულში უფრო თამამია ჩემი ნაბიჯი...)
მზევ, უშენობას შეუძლია სამყარო დარწყოს,
აღავსოს მწუხრით უდაბური, ძვირად ნადინჯი.

ტკბილო, ჩემს ყოფას უსასრულო სიცოცხლედ აწვიმ...
დღეს წამი წუთში უშენობით დროს აერია,
რადგან მგზნებარე სიმხურვალით სამყარო დაწვი,
როცა სიშორე უსივრცობის ნისლს გაერია.

მე შევეზარდე შენი ცრემლით ნაწამებ წამწამს,
დავწვი ტკივილი-უსხეულო სულის რაობა.
ჩემო, უშენოდ ეს სამყარო საერთოთ არ მწამს,
უშენოდ ისიც წამია და არარაობა!

ვწერ აწმყოს სათაურს...
2013 წლის 23 ოქტომბერი, 20:19-ზე
ღამეს მწუხრის რაინდის სტატუსისებრ ვედები,
მკრთალი მთვარის მაგიერ, მზეს ვირეკლავ ტანადი,
მერე დილას ვაღვიძებ, ცისკრის ტრიოლეტები
მიყვებიან, თუ როგორ დაიკარგა ტალანტი

დედამიწის მხრებიდან შორს, ქაოსის თვალებში,
იქ კი, განწირულობის ნიშნით მისი ვარამი
კოსმოსს ცეცხლად მოედო. ყოველი დღე გალეშილ
წყვდიადს გავს და სიმართლეს ნაშიები კალამი

ვწერ წარსულის მიჯნასთან მდგარი აწმყოს სათაურს,
ღამეს მწუხრის რაინდის სტატუსისებრ ვედები
და მიყვება აწმყოში უძველეს და არქაულს,
მომავლისკენ წასული ცისკრის ტრიოლეტები.

სამიჯნურო

2014 წლის 16 თებერვალი, 23:39-ზე

იყო სუსხი და სითბო შენ დაესესხე აპრილს,
მერე შეავსე სივრცე და ამიდუღე სისხლი,
ხელებს მიეცა გრძნობა, მკერდზე გვამებად დაყრილს,
ჩემი მზე ხარ და ზამთარს სხვა გაზაფხულით მისხლი.

აღსდგა სხეულთან ერთად გულის ძგერა და ტვინმა
შენსკენ მომართა მზერა ათასგვაროვან გზნებით,
ხმა აღიმაღლა აზრმა და ზიზღს აწია გმინვა,
სიტყვამ ხოტბა თქვა შენი, ზნეაწეული ზმნებით.

ასე დალაგდა შფოთი და სიყვარულის მთები
წამოიმართნენ ხარბად სულის დაბლობის ირგვლივ,
ახლა შენი ვარ მარად და განცდილ წამებს ვყვები,
ჩემს ყოველ ახალ ნაბიჯს, შენს ბრგე არსებას მივგვრი.

სიკვდილმისჯილი
2012 წლის 16 ნოემბერი, 14:41-ზე
,,მე და ბოლო ღამის ბერწი უღამობა,
განცდაც სიამაყის ძალით პატივაყრა.
შიშმა სიბეჩავეს ისე უგალობა
მთელი სიდიადე თავქვე დაყირავდა.

მახლავს სიმარტოვე, კვდომის წარჩინება,
ლანდი დაფერფლილი, ცეცხლში ჩანამწვარი,
ფიქრი-ზიზღიანი წყევლის განჩინება,
გონი-სისპეტაკის უშნო წანამძღვარი.

თვალწინ წარმომიდგა უტყვი ფრაგმენტები,
ჩემი უნაყოფო ბიჯის აპოგეა,
გული ცივი მაქვს და გრძნობას არ ვეტევი,
გრძნობას, რომელიც, რომ ასე ხანმოკლეა.

ვგდივარ ოთხ კედელში აწმყოს სიბეჩავე,
მთელი წარსულიც ხომ ახლა მკვდარბედია!
ოფლით დაცვარული გლოვას მივეშავე,
მსურს, რომ ღმერთს ვუამბო განცდის ტრაგედია.

ხო ღმერთს... მე არ ვიცი მისი მადლის გემო
და არაც არასოდეს ის არ მომიხმია,
იქნებ მცირე დროში ლოცვა დავაბერო,
ლოცვა, სიბინძურემ სულს, რომ ჩამოხია.

ღმერთო უარსოა ვიცი ჩემი ძღოლა,
დროის უსუსური წამის გაელვება,
რადგან არ ყოფილა წინსვლა კუჭის ძღომა,
არც სიამოვნება ვნების გახელება!

ამდენ სიცრუეში გული დასნეულდა,
რწმენას გაციებულს ცეცხლით არ ჭამს შიში!
ძლიერ ნაწამები სული განსხეულდა.
ოხ, ჩამასვენებენ მალე ბალდახინში,

მალე მომაყრიან მას, რაც თავადვე ვარ,
ჩემში სიკვდილი ხომ ტანჯვის სალოსია,
მოვა უსიცოცხლო წამის მარად ხედვა...
ფიქრში არა მწყობრი, მწუხრი ქაოსია

და რა?! მახსენდება ჩემი ერთადერთი,
ნაზი სიყვარულის წმინდა ხელოვნება,
სისხლში ანაფეთქი ტრფობა დანადენთი.
სადღაც შორს დგას ის და მაინც მელოდება,

ჩემი მონატრების გრძელი საკვამური,
ტანჯვის დამტევნელი ხოტბის დიადემა,
ღამის უძილობა, ბოდვა საკრალური,
მისი ნახვა უკვე ძლიერ გვიანდება!

მოკლავს უჩემობა, მოკლავს ჩემი დარდი!
მნახავს დაღამებულს, მასშიც დაღამდება,
მინდა ვკითხო, ასე რატომ შევუყვარდი?
ვიცი პასუხისას ისე ჩაღრმავდება,

რომ ცრემლს მიმოაფენს გაშლილ ნაწნავებზე,
მაინც ჩემსას მკითხავს, რამე ხომ არ მტკივა?
სხეულს მოასვენებს წამხდარ მხარ-მკლავებზე,
მკითხავს, თუ მკლავები რაღამ გამიმკვრივა?

მე კი სანაგვეთის მთელი აგორება,
ზღაპარს მოვუყვები წმინდა ცხოვრებაზე,
ასე გაგრძელდება დიდხანს ,,დაბოლება",
სიტყვა სიკეთეზე, სულის ცხონებაზე.

ისიც დამიჯერებს, ტკბილად ჩაიძინებს,
მიკვირს ამ ციცქნაში, როგორ დავეტიე...
ჩემს ტრაგედიაში ისევ ჩავიძირე,
ნეტავ საწყალ მამას ძვლებში დავემტვრიე,

სანამ პირველ ნაბიჯს მტვერში გადავდგამდი
და ფიქრს ვისწავლიდი ადრეს, არა გვიანს!
სანამ გაჭირვებას სისხლით ჩავაგვამდი,
სანამ გავწირავდი პირველ ადამიანს!

მატლი უსუსური, ბორგვას გაქცეული,
ახლა შენს წინაშე ვდგევარ მე, ბოგანო!
ხორცის უძლურებით, რომ ვარ წაქცეული,
სულს ამდენი ცოდვა, როგორ ჩამოვბანო?!

შენ, რომ მოწყალე ხარ სადღაც გამიგია,
ძალგიძს უანგაროდ წყენის დავიწყება,
ჩემი მომავალი-აზრის ტარიგია,
აზრის საუკუნოდ ქვე, რომ დაიწვება!

-87-

უფრო არეული, უფრო საგონოო,
მე ვარ სიბნელე და კვდომა საკუთარი,
რადგან განაჩენი, უკვე საბოლოო
შიშის და სილაჩრის გავხდი საბუდარი!

მე ვარ უკვდავებას ძალად ანარიდი,
ძილის უძილობა, ღამის გათენება,
ზიზღით დამთვრალი და ბილწით განაფლიდი
და მსურს ამ იარის შენით გამრთელება,

მსურს, რომ მომიტევო ის, რაც ძმებს შევსცოდე,
როცა მივითვისე მათი სულები და,
რატომ არ მომკალი, რად არ შეგეცოდე?
ნეტა ყრმობაშივე დამესრულებინა

ჩემი უსიცოცხლო ხედვის დაძალება,
უშინაარსობის აზრი ცარიელი,
ყველგან უსამართლო ფაქტთან დაზავება!
მე სულ უმადური, არსად მადლიერი

ვგდივარ ოთხ კედელში აწმყოს სიბეჩავე,
უშნო წარსულისგან ძლიერ გაწელილი,
ოფლით დაცვარული გლოვას მივეშავე,
ღმერთო შემიბრალე თავით დაწყევლილი.

მხოლოდ ერთმა იცი ცეცხლად სანამ ვენთო,
შენი სიყვარული სასოს კლარნეტია.
მე სიკვდილმისჯილს და არა საამქვეყნოს
მინდა მომიტევო სულის ტრაგედია.

--88-